საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 20 ივნისი, 2015 წელი.

№113 (7758)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

◎ არქიტექტურულ-ეკოლოგიური მოსაზრებები

ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ გადასარჩენად ④

ვახტანგ დავითაია: ვერეს ხეობა მსხვერპლი უფრო, ვიდრე დამნაშავე!..

②

ალექსანდრე თვალჭრელიძე: გეოლოგიური სამსახური რომ ყოფილიყო აღდგენილი, 13-14 ივნისის კატაკლიზმებს გაცილებით უფრო „რბილი“ შედეგები ექნებოდა

③

რა „ჯავშანი“ აქვს ზურაბ გურიელიძეს და რატომ არ უნდა დაისაჯონ სხვა ჩინოვნიკებიც?!



⑪

◎ დღის ამოჩაზურიდან



„ტაბულის“ 18 ივნისის სიუჟეტიდან

წამყვანი: დამისახელეთ ერთი ყველაზე სექსუალური ქართველი პოლიტიკოსი.

ნათია ფანჯიკიძე: ქალთაგან ვერ დაგისახელებთ. კაცთაგან კი ყველაზე სექსუალური ირაკლი ალასანია მგონია.

P. S. ცოლს, რასაკვირველია, არ ესწავლება ქმრის „საქმენი სავაჟკაცონი“.

პატრიარქის საჩუქარი

სტიქიის შედეგად დაზარალებული ენუქიძეების 9-წევრიან ოჯახს ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ოთხოთახიანი ბინა გადაეცა, — საჩუქარი მრავალშვილიანმა ოჯახმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისგან მიიღო. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დაზარალებულებს გუშინ საპატრიარქოში უმასპინძლა, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იმყოფებოდა.

კათოლიკოს-პატრიარქის განცხადებით, მრავალშვილიანი ოჯახის დასახმარებლად, ოთხოთახიანი ბინა საპატრიარქოს ჯულია ხოფერიას ოჯახმა გადასცა.

„ჩვენი ხალხი არაფერს იშურებს გაჭირვებულთა დასახმარებლად. არის ერთი ოჯახი— ჯულია ხოფერიას ოჯახი, რომლის შვილმაც გადმოსცა საქართველოს საპატრიარქოს ბინა, რათა ეს ბინა ვაჩუქოთ მრავალშვილიან ოჯახს.

კარგია, რომ ეს ბავშვები გაიზრდებიან ამ ბინაში და ექნებათ საკუთარი ჭერი. ჩვენ მოგიმზადეთ ღვთისმშობლის ხატი, რომელიც პირველი უნდა შევიდეს ამ ბინაში თქვენთან ერთად და ასევე გადმოგცემთ სახარჯო ფულს 1000 ლარს“, — განუცხადა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საპატრიარქოში შეკრებილ ოჯახის წევრებს.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა პატრიარქს სტიქიის შედეგად დაზარალებული ენუქიძეების ოჯახის დახმარებისთვის. მისი განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ პატრიარქმა პირველად მას აცნობა.

ენუქიძეები, სტიქიის შემდეგ, მცირეწლოვან შვილებთან ერთად, სასტუმრო „აისბერგში“ ცხოვრობდნენ, სადაც ისინი რამდენიმე დღის წინათ პრემიერმა მოინახულა და ოჯახის უფროსის გარდაცვალება მიუსამძიმრა. ოჯახის უფროსი კარპო ენუქიძე თბილისში 13 ივნისს მომხდარი სტიქიისას დაიღუპა და მას 21 ივნისს მშობლიურ რაიონში დაკრძალავენ.

პატივი მიაგეს დაღუპული მაშველის ხსოვნას

„საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 13 ივნისს მდინარე ვერეს ხეობაში მომხდარი წყალდიდობის დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისთვის, სამაგალითო მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და თავდადებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ — საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (დეპარტამენტი) ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის I სახანძრო-სამაშველო ნაწილის (განყოფილება) უმცროსი ინსპექტორი (მეხანძრე-მაშველი) ზურაბ მუზაშვილი დაჯილდოვა მედლით „სამოქალაქო თავდადებისათვის“ (სიკვდილის შემდეგ)“, — აცხადებენ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

ილჰამ ალიევი საქართველოს პრემიერ-მინისტრს თანაგრძნობას უცხადებს

თბილისში მომხდარი სტიქიის გამო, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს თანაგრძნობას უცხადებს.

„ძვირფასო პრემიერ-მინისტრო, გამოვთქვამ დიდ მწუხარებას თბილისში მოხდარი სტიქიის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ადამიანთა სიცოცხლე და გამოიწვია მატერიალური ზარალი. თანავუგრძნობ დაღუპულთა ოჯახებს და ვიზიარებ მათ მწუხარებას. ვუსურვებ დაზარალებულებს სწრაფ გამოჯანმრთელებას“, — ნათქვამია ილჰამ ალიევის წერილში.

რუსეთი მზად არის, საქართველოს სტიქიის შედეგებთან ბრძოლაში დაეხმაროს

ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა განაცხადა.

„ჩვენ ვესაუბრეთ ზურაბ აბაშიძეს. მას ვთხოვე ჩვენი სამძიმარი გადაეცა და ვუთხარი, რომ საგანგებო სიტუაციების სამინისტრო თბილისში ჩვენს კოლეგებს ეკონტაქტება და მათ დახმარებას სთავაზობს. მე არ ვიცი თანამშრომლობის პრაქტიკული ფორმები, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება, მზად ვიქნებით. ჩვენ მეზობელი ქვეყნები ვართ, გვესმის ერთმანეთის, საჭიროების შემთხვევაში კი, ყოველთვის მზად ვართ დახმარებისთვის“, — განაცხადა კარასინმა.

13 ივნისის ღამეს თბილისში წყალდიდობის შედეგად დაღუპულების ოჯახებს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმაც მიუსამძიმრა. პუტინის პრესსპიკერ დიმიტრი პესკოვის განცხადებით, რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამსახურმა საქართველოს სტიქიის მეორე დღეს შესთავაზა დახმარება.

კალაპოტშეცვლილი ვერე

თბილისში, წყნეთის ქუჩა №13-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარე ვერეს კალაპოტის შეცვლა მოხერხდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან აცნობეს, სამუშაოების განხორციელებამდე მდინარეს მარცხნიდან კლდე ესაზღვრებოდა, რის გამოც ადიდებული ვერე მარჯვენა მხარეს გადმოდიოდა და წყნეთის ქუჩას აზიანებდა.

მათივე ინფორმაციით, მოსალოდნელი სტიქიის პრევენციის მიზნით, მოიჭრა კლდის ნაწილი და მდინარის კალაპოტი შეიცვალა.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, ამ ეტაპზე უკვე დაიწყო სამუშაოები მდინარის კალაპოტის მარჯვენა მხრიდან დამცავი კედლის ასაშენებლად.

„მოხერხდა დატბორილი ავტოფარეხის სახურავის გაჭრა და სტიქიაში ჩარჩენილი ავტომობილის ამოყვანა. აღნიშნულ სამუშაოებს კოორდინაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უწევს“, — აცხადებენ სამინისტროში.

◎ მოუსმინეთ პროფესიონალებს!

ვერეს ხეობა მსხვერპლი უფროა, ვიდრე დამნაშავე!..

თბილისის სტიქიური უბედურების დღეებში აქა-იქ მაინც გაისმის „მოუსმინეთ პროფესიონალებსო“. ეს კარგია, თითქმის 10 წლის მანძილზე ქვეყანას მხოლოდ ერთი „პროფესიონალი“ ჰყავდა — პრეზიდენტი. იყვნენ რანგით დაბალი „პროფესიონალებიც“ — გუბერნატორები, მერები, გამგებლები... მეც ვისმენ ტელევიზიით მიზეზთა შეფასებებს. ზოგიერთები გზის დამპროექტებლებს ადანაშაულებენ. **ერთნიშნად ვიტყვი: იქნებოდა ახალი ტრასა და გვირაბები თუ არა, ეს კატასტროფა გარდაუვალი იყო.** სტიქიამ, სანამ „მზიურს“ დაანგრევდა, ანუ ახალი გზისა და გვირაბების მონაკვეთს, მანამდე დაანგრია ახალდაბა და ვაკე-საბურთალოს გზის ზედა არეალი. „მზიური“ ბოლო ეტაპი იყო. გვირაბები და გზა ამ ტრაგედიის მსხვერპლი უფროა, ვინემ დამნაშავე. რაც არ უნდა დაგვჯდომოდა, მეწყერის მიერ შექმნილი „საცობი“ დროულად უნდა გაგვეხსნა. **ასეთ სიმაღლეზე ამხელა მასის წყლის დაგუბება კატასტროფას რომ გამოიწვევდა, ანბანური ჭეშმარიტებაა.** თავის დროზე „მზიურის“ ტრასის მიმართ მეც მქონდა კრიტიკული დამოკიდებულება, მაგრამ ეს ეხებოდა არქიტექტურულ-ურბანულ საკითხებს. მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ ტრასა უნდა გაგვეყვანა ესტაკადის პრინციპით, აგვეწია ზემოთ, რათა დედაქალაქის ორი დიდი რაიონი — ვაკე და საბურთალო არ მოწყვეტილიყო ერთმანეთს, ასევე, კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავი ვერეს, თუნდაც ნაწილობრივ გვირაბებში გატარების, ვინაიდან ეს ეკოლოგიური ლაფსუსი იყო. ეს ძალიან კარგად იცოდნენ დამპროექტებლებმა, მაგრამ ესტაკადის პრინციპი მნიშვნელოვნად ძვირი იყო, რაზედაც ხელისუფლება არ წავიდა, გარდა ამისა, **საკაშვილს, როგორც ყოველთვის, ეჩქარებოდა.** მოხდა ის, რაც გარდაუვალი იყო. წყალმა გაარღვია მეწყერის მიერ შექმნილი „საცობი“, რამაც გამოიწვია წყლის უცაბედი მოვარდნა, თანაც კოკისპირულ წვიმაში. სწორედ ამ მოულოდნელობამ გამოიწვია ადამიანთა დიდი მსხვერპლი, ნგრევა და მანქანების ასეთი დიდი რაოდენობით განადგურება. ეს იყო სტიქია. არა მგონია, იაპონიაში ყოველი ცუნამის ან ამერიკაში ყოველი ტორნადოს შემდეგ დამნაშავეებს ეძებდნენ! თუმცა, ჩვენს შემთხვევაში კატასტროფა სრულიად პროგნოზირებადი იყო. ეს არ იყო ბუნებრივი კატასტროფა, ეს იყო გულგრილობით გამოწვეული სტიქია! მეწყერის ჩამოწოლის პირველსავე საათებში უნდა ჩატარებულიყო სასწრაფო ღონისძიებები. იქნებ, ამ კატასტროფამ მისცეს იმპულსი გზის ესტაკადით შეცვლას და გვირაბების ლიკვიდაციას. იქნებ, ხელისუფლება დაფიქრდეს არქიტექტურისა და მშენებლობის ინსტიტუციის აღდგენაზე. დღეს ეს უმნიშვნელოვანესი დარგი დაყვანილია კერძო საქმემდე. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა მოუვა ახალ მშენებლობებს მიწისძვრის შემთხვევაში!

ვახტანგ დავითაია,
არქიტექტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

◎ წკეპლიკა

თქვენ გაქვთ უფლება, ჩვენ — არა?!

ამ კითხვით ჩვენს არასამთავრობო ორგანიზაციებს მივმართავ, ვინ იცის, ვის მიერ და რისთვის დაარსებულებს, ვისგან, რა მიზნით და რამდენით დაფინანსებულებს, ვითომ დემოკრატიის მიუკერძოებელ მომხრედამცველებს (ისემც რა გითხარით!), სინამდვილეში კი ნამუსგარეცხილებს, აშკარად ანგარებიან-მიკერძოებულებს და ხელისუფლების გაშავებისათვის მუდამ მზადმყოფთ?

თავად ყველგან და ყველაფერში იქექებით, ყველაფერში ცხვირს ჰყოფთ, ხოლო თქვენს საქმეებში ჩარევის კი არა, ჩახედვის მოსურნენი ლამის ანათემას გადასცეთ.

ახლაც ყველანი ერთიანად რომ „დაიქოქეთ“ და „ცრუსთავი-2“-ის ეკრანიდან ერთხმად გვამცნეთ, უნდა შევამოწმოთ, როგორ დაიხარჯება ფული სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრის სამუშაოებზეო, გაკონტროლება კი არის კარგიც და საჭიროც, თუნდაც იმისთვის, რომ კონტროლის ობიექტი ფრთხილად იყოს და თავადაც მკაცრად აკონტროლოს ხარჯები, მაგრამ, როდესაც საქმე თქვენ გეხებათ, რად აიჯაგრებით ხოლმე ყველანი?

როდის როდესაც? როდის და თუნდაც მაშინ, მოქალაქე ბიძინა ივანიშვილმა რომ თქვა, უნდა შევამოწმოთ, რომელი არასამთავრობო ორგანიზაცია საიდან, რისთვის და რამდენით ფინანსდებაო!

როგორ ერთიანად აყაყანდით და გაიგიჟეთ თავი!

რატომ? სხვათა გამკონტროლებლის (თანაც, როგორც ვთქვი, ვინ იცის ვის მიერ და რისთვის დაარსებულ-დაფინანსებულების!) გაკონტროლება არ შეიძლება?

თქვენ გაქვთ ამის უფლება, ჩვენ კი, თქვენი ყოველგვარ ზღვარს გადასული, გესლიან-გამაღიზიანებელი, ხალხის ამფორიაქებელი, ნებისმიერი უკეთურობის მხარდამჭერი და პირიქით, ყოველივე მართლმადიდებლურის, წმინდა ქართულის წინააღმდეგ გამოსვლა-კომენტარებით აღშფოთებულებს არა?

არ გამოვა ასე! ცალმხრივი მართო საავტომობილო მოძრაობაა კარგი!

რუსლან რუსია

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **კი მრცხვენია, ძალიან, მაგრამ ისევ სამართლიანობისთვის ვიტყვი, მაშველების დამხმარე მოხალისეებზე მეტნი მათთვის მადლობის გადამხდელები ვართ, ჩემი თამადობით, რა თქმა უნდა...**

● **„იმედზე“ და „რუსთავი-2“-ზე გადიოდა გადაცემები თბილისის ტრაგედიაზე.**

რამხელა განსხვავებაა მათ შორის:

„იმედზე“ იზიარებენ ამ საშინელ ტრაგედიას, ეხმარებიან დაზარალებულებს. ეფერებიან, ტირიან, ამხნევებენ, გულთან მიაქვთ საქართველოს ტკივილი.

„რუსთავი 2“-ზე იღრინებიან, ყეფენ, ცოფავენ და არ ინდობენ არაფერს. ანადგურებენ ყველაფერს სუფთას და წმინდას!

● **სითი პარკელებო და ავტობუსის კანტროლიორებო, მიდით მისცეთ, ყველა დააჯარიმეთ!!!**

ფეხით მოსიარულეებიც არ დაზოგოთ! ეგენი არც სტაიანკის ფულს არ იხდიან და არც ავტობუსში არ იღებენ ბილეთებს!!!

ალყაში მოაქციეთ, არცერთი არ გაგექცეთ, ტყვეები არ აიყვანოთ!!!

● **ყოველ საღამოს, „რუსთავი-2“-ის ეთერში გადის სერიალი „ბორროტინოს თავგადასავალი“!!!**

● **ახალი გასართობი მომეცა, რამდენჯერაც ჩავდივარ-ავდივარ კიბეზე, მაყვალა კორდინატორის კარზე ვაფხაჭუნებ და ვიღრინები!**

● **ფერისმჭამელებიან ირაკლი აბესაძეს წყლის პისტოლეტი მივცეთ, ოღონდ წყალი არ ჩავუსხათ.**

● **აქციაზე იყო ვილაც ფოსფორისფერ კაპიშონიანი კაცი და, გურიელიძეს ზოობარკი ჩაუდო ოცნებამო...**

● **ყურადღება, თელავში ჩემს სახლთან ვეფხვმა შემნიშნა!!!**

● **„მე თბილისის ყველა ქუჩა ვიცი“, — ვეფხვი.**

● **მოკლედ, მეცნიერები გვამშვიდებენ, ოთხი დღის ნაშიმშილარი ვეფხვი ისე უცებ შეგჭამთ, ვერც გაიგებთო. თუ ჩემი არ გჯერათ, გადართეთ „იმედზე“.**

● **პრემიერის ინიცირებულ სკვერში, კარგი იქნებოდა სიცილის, სიკეთის და გადარჩენის სიმბოლო ბეჰემოთი ბეგი — ბეგლარის უკვდავყოფა.**

არადა, ერთ-ერთ საშიშ ცხოველად ითვლება და ტიბმა როგორ აიტანა ძროხასავით რომ შედენეს. რომ მახსენდება, სულ მეცინება და პირველი კადრი? ჯერ კიდევ წყალში ჩაკვესებული რომ იყურებოდა გაკვირვებული?!

● **ლელა კაკულიამ, რაო, სადაანაა ვეფხვიო?**

თუ მერე იტყვის, პოსლეზე, ვიცოდი სადაც იყოო.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ საყურადღებო გარემოება

ვინ ითბობს ხელს?

დაგვითანხმებით, საქართველოში დაძაბული დღეებია. სტიქიურმა უბედურებამ შეკრა ერი და ბერი, რაც ადამიანური თანადგომის კარგი ნიშანია. თუმცა, ზოგიერთმა უსინდისო ტაქსისტმა და თუნდაც ნიჩბების გამყიდველმა სხვის უბედურებაზე ფულის გაკეთება (ხელის მოთბობა) განიზრახა.

ჩვენ პატარა თონეს ვამუშავებთ, ამ პერიოდში — ალოობის წინ, ფქვილის ფასები ტრადიციულად იკლებს, მით უმეტეს დოლარი დაბლა წამოვიდა, მაგრამ, რაც არ უნდა საკვირველი იყოს, ფქვილის ფასმა სწორედ ამ დღეებში მოიმატა, ეს იმ დროს, როდესაც ბევრმა ხაბაზმა თავისი ნახელავი სტიქიით დაზარალებულებისა და ლიკვიდატორების საკვებად გაიღო.

ნუთუ კვლავ ძველებური მაფიოზური სტრუქტურები აკეთებენ ამას? გახსოვთ, ფქვილის ბაზარი გადაკეტეს და თითქოს ქართული ბიზნესის (წისქვილების) დახმარების მიზეზით ფქვილის ფასები უსაშველოდ გაზარდეს.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი თუ ყველა, ვისაც ეს ხელეწიფება, უმჯობესია, ამ სისაძაგლეს აღუდგეს წინ, ვიდრე პიარაქციებში აპუროს დაზარალებულები. იმასაც ამბობენ, ფქვილის შემოტანას აკრძალავენო. ეს ძველი მთავრობის უგნური პოლიტიკის გაგრძელება იქნება, რადგანაც, დარწმუნებული ვართ, ადგილზე დამზადებული ფქვილი მხოლოდ კვლავ გაძვირების გზით ივლის, იმიტომ, რომ ჩვენში გადამუშავების ხარჯები მაღალია. რით ვერ მიხვდნენ ამას? თუ შეჯიბრობითობა არ იქნება, არც ფასი იქნება სათანადო, არც ფქვილის ხარისხი.

მერაბ ჯოხაძე,
ნუგზარ ლებანიძე.
დიდი დიღომი, თბილისი

გეოლოგიური სამსახური რომ ყოფილიყო აღდგენილი, 13-14 ივნისის კატაკლიზმებს გაცილებით უფრო „რბილი“ შედეგები ექნებოდა

13-14 ივნისს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზებსა და იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ მომავალში ამგვარი კრიზისების თავიდან ასაცილებლად, „ინტერპრესნიუსი“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძეს ესაუბრა.

— ბატონო ალექსანდრე, 13-14 ივნისს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიაზე უამრავი კვალიფიციური თუ აშკარად ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ პოლიტიკური შეფერილობის აზრი გამოითქმის. რომელი მხრიდანაც არ უნდა იყოს, ამგვარი პროპაგანდისტული ნაბიჯები, მათი არსი ნათელია, მაგრამ ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ახლა ყველაზე მართებული იქნებოდა მომხდარი ტრაგედიიდან სწორი გაკვეთილების გამოტანა და იმაზე კონტრეტული გადაწყვეტილებების მიღება, რაც მომავალში გამორიცხავს მსგავს ტრაგედიებს. ვიდრე ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გადავიდოდეთ, თქვენ როგორ შეაფასებდით მომხდარს?

— საუბედუროდ, ბუნებრივი კატაკლიზმები ადრეც მომხდარა და მომავალშიც მოხდება. ადამიანს არ ძალუძს მათი თავიდან აცილება. შესაძლებელია მხოლოდ შემარბილებელი, მეტად პროფესიული ღონისძიებების გატარება, რათა თავიდან ავაცილოთ ადამიანების მსხვერპლი და შევარბილოთ კატაკლიზმების ეკონომიკური შედეგები.

მაგალითად, მდინარე ვერე ადიდდა 1963 და, თუ არ მეშლება, 1971 წლებში. 1963 წელსაც ზოოპარკიდან მტაცებელი ცხოველები გაიქცნენ, მაგრამ ადამიანთა მსხვერპლი ამ კატაკლიზმებს არ მოყოლია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი — ეტყობა, ადამიანთა სიხარბეს საზღვარი არა აქვს და ჩვენ, ვაშენებთ იქ, სადაც მშენებლობა სრულიად გამორიცხული უნდა იყოს, მაგალითად, ვერეს არამც თუ ხეობაში, არამად კალაპოტშიც კი. მეორე — აბსოლუტურად გაუგებარი მიზეზებით ჩვენ გავაუქმეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული უწყება — სახელმწიფო გეოლოგიური სამსახური და საქართველოში არ არსებობს დაწესებულება, რომელიც პროფესიულ გეოგარემოზე ზემოქმედების ექსპერტიზას ჩაატარებს და შეიმუშავებს შესაბამის ღონისძიებებს.

ამის შესახებ მე საჯაროდ ვსაუბრობდი დარიალის ხეობის ტრაგედიის შემდეგ და ვაფრთხილებდი ხელისუფლებას, რომ ტრაგედიები გაგრძელდებოდა. ფაქტიც სახეზეა. მესამე — ჩვენ არ გვინდა, ვცნოთ დაშვებული შეცდომები და მათ გამოსწორებას ირიბი მეთოდებით ვცდილობთ: ვპატიჟებთ იმ გეოლოგიურ სამსახურებს (ჩეხეთი, იტალია), რომლებსაც კონსულტაციებს ჩვენ პირადად ვუწევდით, საქართველოს გეოლოგიური სამსახურის აღდგნა კი არ გვინდა. შედეგად, მუშავდება ნახევარზომები. მაგალითად, არაგვისა და დარიალის ხეობებში დამონტაჟდება შესაბამისი აპარატურა. მაგრამ რა ვუყოთ ყვირილას, აჭარისწყალსა და სხვა გეოდინამიკურად აქტიურ რაიონებს? ახალ ტრაგედიებს დაველოდით? პრობლემას სისტემური პროფესიული და არა პოლიტიკური გადაწყვეტა სჭირდება და ეს მხოლოდ პროფესიონალებმა და არა პოლიტიკურმა ელიტებმა უნდა გააკეთონ.

— ექსპერტთა და საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ 2010 წელს ვერეს ხეობაში წინა ხელისუფლების მიერ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის მოსასწრებად დაჩქარებულ ტემპებში განხორციელებული სამუშაოები ისე ჩატარდა, რომ არა მარტო საკმარისად არ იყო გათვალისწინებული ხეობის თავისებურებები, არამედ ის საფრთხეები, რაც შეიძლება მოჰყოლოდა ამავე ხეობაში წვიმას, სტიქიის გამძვინვარებას, მთის ქანების ჩამოშლასა და ღვარცოფებად გადაქცევას. ალბათ, ყველაფრის გათვალისწინება შეუძლებელი იყო, მაგრამ თქვენი აზრით, ვერეს ხეობაში სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე რა არ იყო გათვალისწინებული და საერთოდ, რამდენად შესაძლებელი იყო სტიქიის მასშტაბების გათვლა, შემდგომ პრაქტიკულ გეგმებში გათვალისწინება?

— ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს. წინა ხელისუფლების დროს ინფორმციისგან აბსოლუტურად გარიყული ვიყავი. საზოგადოდ კი, რა თქმა უნდა, პროექტის არც გეოლოგიური და არც ეკოლოგიური ექსპერტიზა არ ჩატარებულა — ამას მინიმუმ ერთი წელი დასჭირდებოდა, ხოლო ჩვენ წინა პრეზიდენტს ამისთვის მოთმენა ნამდვილად არ ეყოფოდა. ამიტომ მომხდარში ბრალი არა მშენებლებს, არა გეოლოგებს, არა ეკოლოგებს, არამედ სწორედ წინა ხელისუფლების გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს მიუძღვის, რომლებსაც პროფესიული აზრი სულაც არ აინტერესებდათ და ნებისმიერი უცხოელი საშუალო და დაბალი დონის სპეციალისტის ზერელე გამონათქვამი ქართველი გამოცდილი პროფესიონალის დასაბუთებულ ექსპერტიზას ერჩივნათ. საუბედუროდ, ასეთ ტენდენციებს ახლაც ვხედავ. ამ ინტერვიუს, მაგალითად, საზღვარგარეთიდან გაძლევთ, სადაც ზუსტად პროფესიულ ექსპერტიზას ვატარებ.

— პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მომხდარი ტრაგედიის მიზეზების შესასწავლად შეიქმნა სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული სახელმწიფო კომისია. მანვე არ გამორიცხა, რომ 2010 წელს ვერეს ხეობაში განხორციელებული მშენებლობის შესწავლის მასალები პროკურატურას გადაეცეს. თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მასალების შესწავლის შემდეგ შესაძლოა, კონკრეტულ პირთა ბრალეულობა გამოიკვეთოს?

— ვიცი მე ასეთი კომისიების მუშაობის სტილი. კომისია კი არა, სათანადო სახელმწიფო სტრუქტურა უნდა შეიქმნას. ის მაინც შეიქმნება, ამ მთავრობის თუ არა, მაშინ მომდევნო ადმინისტრაციის ინიციატივით. რაც გვიან შეიქმნება, მეტი მსხვერპლის გაღება მოუწევს ჩვენ ბედკრულ ქვეყანას. კომისიის დასკვნა კი პოლიტიზებული იქნება. დაისჯებიან, თუნდაც სამართლიანად, პირები, პრობლემა კი არ მოგვარდება. აიღეთ მაგალითი: ვინღა ატარებს სახლის აშენების წინ საინჟინრო-გეოლოგიურ ექსპერტიზას, ვინ იცავს ანტისეისმური მშენებლობის ნორმებს? მე ძალან მეშინია თუნდაც საშუალო მაგნიტუდის მიწისძვრის და ჩემ ახლობლებს არ ვურჩევ ახლადაშენებულ ფეშენებელურ სახლებში ბინის ყიდვას.

— ჩვენ საუბარი იმით დავიწყეთ, რომ იქნებ ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რაზეც ვისაუბრეთ, შეძლებისდაგვარად გაგეკეთებიანათ შექმნილ სიტუაციაში ოპტიმალურ და რაციონალურ გადაწყვეტილებათა ჩამონათვლი, რომელიც წინ უნდა უსწრებდეს ვერეს ხეობაში განხორციელებული მსგავსი პროექტების დაწყებას? ურბანისტ ნიკო კახეთელიძის განმარტებით, წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში მოხდა მშენებლობის დარგის დარეგულირება, მშენებლობა და არქიტექტურა კი ეკონომიკის ის დარგებია, რომლებშიც მკაცრი რეგულაციების გარეშე კონკრეტული საქმის კეთება წარმოუდგენელია...

— მე არ მინდა ველოსიპედის გამოგონება. მშენებლობა უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფო ნორმატივებს, რომელიც საქართველოში არ არსებობს. მშენებლობის დაწყების წინ უნდა განხორციელდეს საინჟინრო-გეოლოგიური ექსპერტიზა. ჩვენ მოვსპეთ მშენებლობის სამინისტრო და გეოლოგიის დეპარტამენტი. მაშ, ვინ უნდა შეიმუშავოს სახელმწიფო ნორმატივები და ჩაატაროს ექპერტიზა? ვინ უნდა აგოს პასუხი ქვეყნის გეოდინამიკურ უსაფრთხოებაზე? ეკონომიკის მინისტრმა? ფინანსთა მინისტრმა? კულტურის მინისტრმა? თავდაცვის მინისტრმა? მათ ხომ ამის პროფესიული ცოდნა არა აქვთ. ჩვენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს ვქმნით პოლიტიკური და არა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ხომ მოგვწონს დასავლეთი და აშშ? რატომ არ ვიღებთ მაგალითს ამ ქვეყნებიდან?

— ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა „ფეისბუქის“ გვერდზე დაწერა — „ახლა მთავარია, მიღებულ იქნას გადაწყვეტილება, რომ ქალაქში არაფერი აშენდეს, თუ არ იქნება გადაწყვეტილი ურბანული, ეკოლოგიური და არქიტექტურული სტანდარტები. ეს კანონი საკრებულომ ან პარლამენტმა უნდა მიიღოს“. შესანიშნავი აზრია, ამ ტრაგედიიდან ამაზე კარგ გაკვეთილს ალბათ ვერ გამოვიტანთ. წესით, ახლა პარლამენტმა უსწრაფესად უნდა დაიწყოს ამგვარი საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე მუშაობა. ამაზე დღეს ბევრი კი საუბრობს, მეტიც, ურბანისტმა ნიკო კახეთელიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ „თუ მშენებლობის დაწყებაზე უკვე გაცემული ლიცენზიები სერიოზულად არ გადაიხედა, დედაქალაქი უმძიმეს დღეში აღმოჩნდება“. გასაგებია: მშენებლობის სფერო ისეთი დარგია, რომ მასში შესაძლოა, ბევრ გავლენიან ადამიანს ჰქონდეს ინტერესი, მაგრამ თქვენი აზრით, პარლამენტი ამგვარ ნაბიჯებს გადადგამს?

— ქალბატონი სალომეს აზრიც პოლიტიკური და არაპროფესიულია. პარლამენტმა კი უნდა მიიღოს ასეთი კანონი, მაგრამ ვინ შეიმუშავებს მას? ამისი პროფესიული რესურსი არც პარლამენტში და არც მთავრობაში, მერწმუნეთ, არ არსებობს. გამოსავალი ერთია. როგორც არ უნდა გაუჭირდეს, მთავრობამ ფეხი უნდა დააბიჯოს თავის თავმოყვარეობას და იხმოს პროფესიონალები. მოვიყვან მაგალითს. ორ წელზე მეტია, რაც პროფესიონალთა ჯგუფმა შევიმუშავეთ საქართველოს თანამედროვე სამთო-გეოლოგიური კოდექსის კანონპროექტი, სადაც ნაგულისხმევი იყო გეოლოგიური სამსახურის აღდგენა. კანონპროექტი 2013 წლის 28 თებერვალს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს გადავეცით. გსმენიათ რამე ამ კანონპროექტის ბედის შესახებ? არც მე არ მსმენია. არა და, გეოლოგიური სამსახური რომ ყოფილიყო აღდგენილი, უკვე იარსებებდა თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი გეოდინამიკური მონიტორინგის ცენტრი და 13-14 ივნისის კატაკლიზმებს გაცილებით უფრო რბილი შედეგები ექნებოდა...

— მოგეხსენებათ, ჩვენში ახალი ჰესების მშენებლობის საკითხი აქტიურად განიხილება. ბევრ მათგანზე, კერძოდ, სვანეთისა და მთიანი აჭარის მოსახლეობა მწვავედ რეაგირებს და აპროტესტებს. რამდენად დიდია ალბათობა, რომ ხელისუფლება გაითვალისწინებს ვერეს ხეობაში მომხდარს და მეტი პასუხიმგებლობით მოეკიდება გრანდიოზული ჰესების მშენებლობას, რომელთა აშენების შემთხვევაში ეკოლოგთა აზრით, ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობას სერიოზული ზიანი მიადგება? თუ მომავალ თაობებსაც დავუტოვებთ საფიქრალ-სადარდებლად უკვე აშენებული ობიექტების საფრთხეებს?

— აქ სიტუაცია პრინციპულად განსხვავებულია. ყველა პროექტზე შექმნილია თანამედროვე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები. მთავარია, ამ ანგარიშების პროფესიული და არა პოლიტიკური, ექსპერტიზა განხორციელდეს.

— სხვათა შორის, სტიქიის გამძვინვარების დაწყების შესახებ აბსოლუტურად განსხვავებული ინფორმაცია ვრცელდება. ერთი ვერსიით, მთის კალთის ჩამოშლა მას შემდეგ მოხდა, რაც გმირთა მოედანზე ტრაგედია უკვე მომხდარი იყო. ეს არარეალურად გამოიყურება. მეორე ვერსიით, მთის ნაწილის დაშლა ტრაგედიას წინ უძღოდა. თუ მეორე ვერსიაა სწორი, გამოდის, რომ წყალი დაახლოებით 18-20 საათის განმავლობაში გუბდებოდა ვერეს ხეობის ზედა წელში და ეს პროცესი შეუმჩნეველი დარჩა. როგორც ჩანს, ჩვენ არც ისეთი სტრუქტურა გვაქვს, რომ ამგვარ მოვლენებზე მონიტორინგი შეეძლოს და შემდეგ მასზე ოპერატიულად რეაგირებდეს. თქვენი აზრით, ამ თვალსაზრისით რა არის ქვეყანაში გასაკეთებელი?

— მეც ამას არ გეუბნებით? უნდა აღდგეს საქართველოს გეოლოგიური სამსახური.

კობა ბენდელიანი

◉ ალიან-ჩალიანი

თავდებად დეპუტატები დაუდგნენ

თბილისის საქალაქო სასამართლომ ე.წ. კაბელების საქმეზე დაკავებულები გირაოს გარეშე, დეპუტატების ნინო გოგუაძის, ირაკლი ჩიქოვანის, ზურაბ აბაშიძის, ვიქტორ დოლიძის, შალვა შავგულიძის პირადი თავდებობის საფუძველზე გაათავისუფლა. პროკურატურა კი, აღკვეთის ღონისძიების — პატიმრობის გირაოთი შეცვლას ითხოვდა.

ამასთან, ბრალდების მხარემ შესაბამისი შუამდგომლობის, პატიმრობის შეცვლის დაყენება იმით ახსნა, რომ 2015 წლის 28 ივლისს საქმეზე იწურება ბრალდებულების მიმართ შეფარდებული პატიმრობის 9-თვიანი ვადა, ხოლო საქმეზე ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის წინასასამართლო განხილვები; ასევე, დასრულებულია მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხის განხილვის ეტაპი, შესაბამისად, ბრალდებულების მხრიდან მოწმეებზე გავლენის მოხდენის და მტკიცებულებების განადგურების რისკები შემცირებულია.

სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის ბრალდებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირები — ნუგზარ კაიშაური, გიზო ღლონტი, დავით წიფურია, გიორგი ლობჟანიძე და არჩილ ალავიძე შარშან ოქტომბერში დააკავეს. მოსამართლის გადაწყვეტილებას დარბაზში ტაშით შეხვდნენ.

ნასამართლევ პირებს სამორინეს დაფუძნება და ხელმძღვანელობა ეკრძალებათ

ასეთი აკრძალვა „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონში ცვლილების პროექტით შემოდის, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა და მთავრობამ პარლამენტს განსახილველად უკვე წარუდგინა.

კანონში დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, სამორინეს მოწყობის ნებართვის მქონე პირი არ უნდა იყოს საფინანსო-ეკონომიკურ, ასევე მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი. ასევე, სამორინეს მომწყობის სურვილის მქონე პირები, ვალდებული იქნებიან, შემოსავლების სამსახურს წარუდგინონ ცნობა, ნასამართლეობის შესახებ. აღნიშნული აკრძალვა შეეხება როგორც დამფუძნებელს, ასევე დირექტორს. როგორც პარლამენტში ითქვა, აღნიშნულ ნორმას უკუძალა ექნება, თუმცა ის ნასამართლეობამოხსნილ პირებზე არ გავრცელდება.

◎ ალიან-ჩალიანი

ზარალს მსოფლიო ბანკის ექსპერტები შეაფასებენ

როგორც ვიცე პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, ამ მიზნით მსოფლიო ბანკი ექსპერტებს გამოყოფს.

„ზარალის სავარაუდო ოდენობა დიდია, მაგრამ ვფიქრობ, სწორი იქნება დაიდოს ზუსტი შეფასება. ამ შეფასების გაკეთებაში ჩვენ უკვე მივიღეთ წერილი, რომ დაგვეხმარება მსოფლიო ბანკი. ის გამოყოფს ექსპერტთა ჯგუფს, რომელიც ზარალის შეფასებაში ჩაერთვება“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. რაც შეეხება ვერეს ხეობის ახლებურად დაგეგმარების მიზნით შექმნილ სახელმწიფო კომისიას, ეკონომიკის მინისტრის ინფორმაციით, პირველი შეხვედრა უკვე გაიმართა.

„საუბარია იმ ინფრასტრუქტურული ზიანის აღდგენაზე, რომელიც ქალაქმა მიიღო. ჩვენ გვინდა, რომ მაქსიმალურად სწორად განვსაზღვროთ ახალი დიზაინი იმ ინფრასტრუქტურისა, რომელიც უნდა შეიქმნას. სწორედ ამ მიზნით ჩვენ მოვიწვიეთ წამყვანი სპეციალისტები, რათა როგორც გარემოს დაცვის, ისე ინფრასტრუქტურული კუთხით იქნას დადებული სწორი პროექტები. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ მომავალში მსგავსი ზარალი მაქსიმალურად თავიდან ავიცილოთ“, — აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა. გიორგი კვირიკაშვილმა მოახლოებულ ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ სტიქიის გამო ოლიმპიადის ჩატარებაში შეფერხებები არ იქნება.

სტიქიით დაზარალებულთათვის სახლების ასაშენებლად მიწა გამოიყოფა

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა. მისივე განმარტებით, ევროკავშირმა უკვე გამოხატა მზადყოფნა, სახლების მშენებლობისთვის 3 მილიონი ევრო გამოყოს. ნოდარ ხადურის ინფორმაციით, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს დონორებსა და ცალკეულ ქვეყნებთან, რომ საქართველომ მიიღოს როგორც ფინანსური, ისე ტექნიკური დახმარება.

„ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ მსოფლიო ბანკთან. გერმანულ მხარესთან, შვეიცარიელებთან, შვედებთან, თურქებთან იმისთვის, რომ მივიღოთ როგორც ფინანსური, ისე ტექნიკური დახმარება. საქართველოში ჩამოვლენ ექსპერტები, გეოლოგები, რომლებიც ადგილზე შეისწავლიან ვერეს ხეობას და ზოგადად თბილისში არსებულ ვითარებას“, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

სალიკვიდაციო სამუშაოებს ალბათ, 100 მლნ ლარიც არ ეყოფა

„სახელმწიფო ხაზინაში და კომერციულ ბანკებში მობილიზებულია დაახლოებით 17 მილიონი ლარი, აქედან 10 მილიონი გამოყო საქართველოს მთავრობამ სარეზერვო ფონდიდან, თუმცა ცხადია, ეს არ არის საკმარისი თანხა. ზარალი არის ძალიან დიდი. სამწუხაროდ, ალბათ, 100 მილიონი ლარიც არ ეყოფა სალიკვიდაციო სამუშაოებს. მხოლოდ ზოოპარკთან მიმართებაში რამდენიმე ათეული მილიონი ლარი დაგვჭირდება“, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ფინანსთა მინისტრის განმარტებით, მომხდარის გამო მთავრობამ შეაჩერა პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის წარდგენა, რათა მისი რეალობასთან მორგება მოხდეს. „ჩვენ შევეცდებით, შექმნილი ვითარება გავითვალისწინოთ, ამიტომ შევაჩერეთ პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის წარდგენა და მოხდება მისი რეალობასთან მორგება“, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

ინტერპრესი



ბავშვთა ქალაქ

წერილი, რომელსაც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ვთავაზობ ფართო საზოგადოებისათვის გასაცნობად, 2006 წელს გაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, როდესაც ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება მზიურსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯერ არ დაწყებულიყო. საზოგადოებას კარგად ახსოვს, რომ პროექტი იმხანად სრულიად გასაიდუმლოებული იყო. თუმცა, ბევრი ხვდებოდა, რომ ხელისუფლების მხრიდან, რაღაც ავანტიურა იგეგმებოდა, მაგ. დაიწყო მზიურის ნარგავების ინტენსიური ჩეხვა.

არქიტექტორმა, სამხატვრო აკადემიის პროფესორმა თამაზ ნათიძემ მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული, დასაბუთებული მოთხოვნით, მინიჭებოდა ბავშვთა ქალაქ „მზიურს“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, მიხეილ სააკაშვილს მიმართა. მან ეს წერილი პირადად გადასცა სანდრა რულოვსს, საქართველოს პირველ ლედის იმ იმედით, რომ მეუღლეს აუცილებლად წააკითხებდა...

ქალბატონმა სანდრამ პირნათლად შეასრულა თამაზ ნათიძის მეგობრული თხოვნა და წერილმა მიხეილ სააკაშვილამდე მართლაც მიაღწია. თუმცა, მას რაიმე პოზიტიური შედეგი არ მოჰყოლია.

პრეზიდენტმა მადლობა შეუთვალა თამაზ ნათიძეს კორექტულად ჩამოყალიბებული პროფესიული რჩევებისთვის და არ დაუმალა, რომ პროექტირება ძალზე ძვირი დაჯდა, მისი განხორციელება უკვე გადაწყვეტილი იყო და ამ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა.

მას შემდეგ არაერთი ცნობილი არქიტექტორი და სხვა დარგის წარმომადგენელი გამოვიდა აღნიშნული პროექტის წინააღმდეგ, სპეციალისტები ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებდნენ, ხელისუფლებასა და საზოგადოებას გასაგებ ენაზე უხსნიდნენ თავიანთ დასაბუთებულ მოსაზრებებს იმისათვის, რომ როგორმე აერიდებინათ ქალაქისთვის მთავრობის უგუნური, გაუაზრებელი, ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება. მაგრამ ამაოდ...

თამაზ ნათიძის წერილი და სპეციალისტების გამოსვლები მზიურის დასაცავად ნათლად მეტყველებს, რაოდენ აუცილებელია მთელი საზოგადოების ინფორმირება და ერთად დგომა, პროფესიონალთა აზრის გათვალისწინება, როდესაც ქვეყანაში მასშტაბური პროექტების განხორციელება იგეგმება და რა საშიშია თითოეული მოქალაქისთვის ხელისუფლების მხრიდან სპეციალისტების რჩევების უგელებელყოფილია...

ქეთევან ტომარაძე

ოცდამეერთე საუკუნის ბუნებრივ-ანთროპოგენური ურთიერთობები აყალიბებს ახალ ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ სიტუაციას, რომელიც გამწვავებული წინააღმდეგობებით ხასიათდება.

თანამედროვე ცივილიზაციის დაჩქარებული პროცესი აფერხებს გარემოს თვითრეგულირების პროცესს, რის შედეგადაც ადამიანი თავისთვის დამღუპველ ეკოლოგიურ გარემოს ქმნის.

ანთროპოგენური მოღვაწეობის ნეგატიური გავლენის თვალნათელი მაგალითია ბავშვთა ქალაქი „მზიური“. წარმოჩენილია სამრეწველო-ტექნიკური საქმიანობის უარყოფით ქმედებათა შედეგი, მავნე კომუნიკაციური ინფრასტრუქტურების სახით. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმ ჭეშმარიტებაში, რომ დაუშვებელია საინჟინრო-გეგმარებითი ფორმირებების მოწყობა ადამიანის საცხოვრებელი პირობების ეკოლოგიური მახასიათებლის იგნორირების ხარჯზე. შეუძლებელია ამ პროცესების განვითარება. იგი აუცილებლად მიგვიყვანს არსებული ბუნებრივი ობიექტებისა და პროექტირებადი ობიექტების სისტემის სრულ დესტრუქციამდე.

ადამიანი უნდა ემსახურებოდეს ბუნებას და იყენებდეს მას საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მხოლოდ ლანდშაფტისა და არქიტექტურის კომპონენტების შეხმატკბილებული თანაარსებობის გზით. ურბანისტული და საინჟინრო-კომუნიკაციური სისტემები უნდა იყოს ლანდშაფტის ფიზიკურ შესაძლებლობასთან, მის რეკრეაციულ დატვირთვასთან.

„მზიურში“ უნდა შეიქმნას ბუნებრივი ლანდშაფტის კომპონენტებისა და არქიტექტურულ-გეგმარებითი ელემენტების ორგანული შერწყმის ერთიანი ეკოსისტემა, რომელიც წარმოშობს არა მარტო სუფთა ჰაერის რეზერვუარს, არამედ ესთეტიკურად მიმზიდველ ბუნებრივსა და ხელოვნურ გარემოთა ერთობლიობას. ამიტომ „მზიურში“ და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საინჟინრო ობიექტების დაპროექტებისა და რეალიზაციის დროს, თუ არ იქნა გათვალისწინებული ბუნებასთან ურთიერთობის მომენტი, განუსაზღვრელი ზარალის მომტან შედეგს მივიღებთ.

ურბანული ლანდშაფტის შეფასების კრიტერიუმად მიჩნეულია ბუნებრივი, გეომორფოლოგიური, ფლორისტული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. აქედან, ბუნებრივი ლანდშაფტის კომპონენტებია ლოკალური მიკროკლიმატი, რელიეფის სპეციფიკა და მრავალფეროვანი პეიზაჟი.

ჩვენი ამოცანაა, დავიცვათ და შევინარჩუნოთ „მზიური“ იმ სახით, რა სახითაც იყო ჩაფიქრებული, გადავარჩინოთ უნიკალური, ბუნებრივი ტყეპარკული ტიპის მასივი, ვისარგებლოთ მდიდარი კლიმატური რესურსით და დავიცვათ ლანდშაფტი დეგრადირებისაგან.

ჩემი ღრმა რწმენით, წინამდებარე ამოცანის გადაწყვეტისათვის ყველაზე ქმედითი საშუალებაა ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ბუნების ისტორიისა და კულტურის ძეგლად გამოცხადება. ასეთ შემთხვევაში, მის დასაცავად ამოქმედდება „საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, იუნესკოს საერთაშორისო ნორმატიული აქტები და სხვა სამართლებრივი დოკუმენტები.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ „მზიური“ ყველა პარამეტრებით აკმაყოფილებს ძეგლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, სახელდობრ:

— მდინარე ვერეს ხეობა და მისი მიმდებარე ტერიტორია თბილისის ცოცხალი ბუნების უძველესი ისტორიული და კოლორიტული უბანია, რომელიც დასახლებული იყო შუა საუკუნეებიდან, ხოლო სახელწოდება ამ უბანს მდინარის მიხედვით „ვერე“ დაერქვა;

— ვერეს ხევზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი საქალაქთაშორისო გზა, ე.წ. „დიღმის გზა“. აქვე იყო მკვიდრად ნაგები ხიდი, რომელიც კულტურის ძეგლად იყო აღრიცხული;

— მთის მდინარე ვერე დიდხანს რჩებოდა თბილისის სასმელი წყლის ძირითად მიმწოდებლად და შესაბამისად, ასრულებდა უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო ფუნქციას;

— ვერეს ხეობა, ანუ „მზიურის“ ტერიტორია, წარმოადგენს ლანდშაფტის უმნიშვნელოვანეს ფრაგმენტს ქალაქის ცენტრში, საუკუნოვანი ხეებით, ბუჩქნარით, ბალახის მწვანე საფარით, საცალფეხო ბილიკებით, მდინარის სანაპიროებით. აბალანსებს არქიტექტურულ-ეკოლოგიურ გარემოს და მრავალსართულიანი შენობებით გარემოცული, ქმნის მხატვრულად დაპირისპირებულ სივრცეს;

— შეიცავს ჟანგბადის მდიდარ რესურსს, რაც უხვად ხმარდება მდინარე ვერეს ორივე მხარეს მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებს (ვაკისა და საბურთალოს მოსახლეობას).

რა სურათი გვაქვს დღეს „მზიურში? ერთი სიტყვით რომ გავცეთ ამ შეკითხვას პასუხი, ეს იქნება — კატასტროფული! ეს გახლავთ კატასტროფა, გამოწვეული უხეში ანთროპოგენური ქმედებებითა და ბუნების, პირველ რიგში, ეკოლოგიური მოთხოვნების სრული იგნორირებით. უხეშად არის დარღვეული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები — ჰაერისა და წყლის დაბინძურება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. აღნიშნულის დამადასტურებლად მოგვყავს ზოგიერთი ამონარიდი შპს „საქგაზმეცნიერების“ მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევიდან:

„მდინარე ვერეს ხეობის (ქ. თბილისის ფარგლებში) ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების ანგარიშიდან“;

— „მდინარე ვერე გადაქცეულია საკანალიზაციო კოლექტორად, ხოლო მიმდებარე ტერიტორია ნაგავსაყრელად“;

— „მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ერთადერთი საშუალებაა მდინარის ორივე სანაპიროს მთელ სიგრძეზე დიდი დიამეტრის კოლექტორის გაყვანა, რაც დღემდე არ არის გადაწყვეტილი“.

— „ტერიტორია დაბინძურებულია ძალზე დიდი რაოდენობის სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. ტერიტორიაზე ვრცელდება მძაფრი სუნი და მომრავლებულია მავნე მწერები“;

— „მდინარე ვერეს წყლის ხარისხი არ შეესაბამება ზედაპირული წყლების სტანდარტით განსაზღვრულ მაჩვენებლებს“;

— „სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურებულ ტერიტორიებზე აღინიშნება მნიშვნელოვანი რაოდენობის სახიფათო ტოქსიკური ნარჩენები და უცნობი ქიმიური ნივთიერებები“;

— „მდ. ვერეს ხეობის ეკოლოგიური მდგომარეობა მკვეთრად არადამაკმაყოფილებელია და შექმნილია მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების რეალური საფრთხე“;

— „გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ხეობის მიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების კომპლექსური ღონისძიებების გეგმის შემუშავება და განხორციელება“;

ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ არ არსებობს „მზიურის“ ტერიტორიის წითელი ხაზები, დაუდგენელია ამავე ტერიტორიის მესაკუთრე. წარმოჩენილია მხოლოდ ამერიკული „მომავლის სკოლის“ შენობა მიმდებარე მიწის ნაკვეთით და გაურკვეველი დანიშნულების ბეტონის ბორდიურები მეტალის ვერტიკალურად ჩარჭობილი მილებით.

გავრცელებული ჭორით (რასაც ვერ დავეყრდნობით), „მზიურის“ ტერიტორია პატარ-პატარა ნაკვეთებად არის გაყიდული. ამ ჭორს ვერ დავეყრდნობით, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით „მზიურის“ ტერიტორია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უნდა რჩებოდეს, ხოლო თუ იგი გაყიდულია, მისმა მესაკუთრემ უნდა დაიცვას ბავშვთა ქალაქის ფუნქციონირებისათვის კანონით დადგენილი ყველა წესი.

საგულისხმოა, რომ პარიზის კონვენციის თანახმად, რომელსაც საქართველოც მიუერთდა, ბუნებრივ ღირსშესანიშნავ ძეგლებსა და ადგილებს განეკუთვნება ბუნებრივი ზონები, რომლებსაც აქვთ უნიერ-

„მზიურის“ გადასარჩენად

სალური ღირებულება მეცნიერული და ესთეტიკური თვალსაზრისით („Конвенция об охране всемирного культурного и природного наследия“, 16 Ноября, 1972 г. гл, 1, статья 2, абзац 3).

ამ კონვენციით არის გაცხადებული უაღრესად საგულისხმო სიახლე: „პატივს ვცემთ რა სახელმწიფოს სუვერენიტეტს, რომლის ტერიტორიაზე არის კულტურისა და ბუნების მემკვიდრეობა, წინამდებარე კონვენციის მხარეები (ერთ-ერთი მხარე, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოა) აღიარებენ მათ ზოგადსაკაცობრიო მემკვიდრეობად, რომლის დაცვა მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოვალეობაა“. (გლ, П, статя 6, пункт 1).

აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე ცივილიზებული სამყარო, ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ კულტურისა თუ ბუნების ძეგლს მიიჩნევს კაცობრიობის ძეგლად და მის დაცვას ავალდებულებს მსოფლიოს საზოგადოებას.

ამიტომ არის აუცილებელი, რომ „მზიურს“ დროულად მიენიჭოს ბუნების ძეგლის სტატუსი. ეს იქნება მისი ყველაზე საიმედო დაცვა შემდგომი ხელყოფისაგან და საუკეთესო გარანტია ბუნებრივ-კლიმატური და ჰიგიენური პირობების ოპტიმიზაციისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე მიდგომები ძეგლების დაცვის ხაზით, ითვალისწინებს საერთაშორისო ზედამხედველობას და იმ რეკომენდაციების გატარებას, რომლებიც მიიღეს 1962 წლის 11 დეკემბერს პარიზის გაერთიანებულ კონფერენციაზე — „რეკომენდაციები პეიზაჟისა და ადგილმდებარეობის სილამაზის შესანარჩუნებლად“. გთავაზობთ ამონარიდს:

„ღონისძიებები, რომლებიც უნდა ჩატარდეს საშიშროების თავიდან ასაცილებლად, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კონტროლს ამ სამუშაოებზე, რომლებმაც შესაძლებელია ვნება მოუტანოს პეიზაჟსა და ადგილმდებარეობას, კერძოდ:

ა) საზოგადოებრივი და კერძო ნაგებობების მშენებლობა;

ბ) გზების მშენებლობა;

გ) ნარგავების, მათ შორის ხეების განადგურება;

დ) ჰაერისა და წყლის დაბინძურება“ (თავი II, მუხლი 7).

„განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ხმაურის უარყოფითი ზემოქმედება“ (მუხლი 8).

„უნდა შეიქმნას კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტები, რომლებიც ითანამშრომლებენ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან, ჰარმონიული დებულებების დასამუშავებლად“ (იუნესკოს საერთაშორისო ნორმატიული აქტები, გვ. 313-315).

მივუბრუნდეთ საქართველოს კანონმდებლობას, კერძოდ „საქართველოს კანონს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც კულტურულ მემკვიდრეობას განეკუთვნება აგრეთვე „ბაღები, პარკები, ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები“ (მუხლი 3, პუნქტი ლ,ა).

ზემოთ ჩამოვთვალეთ „მზიურის“ მახასიათებლები, რაც პირდაპირ უპასუხებს კანონის შემდეგ პირობებს: „ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველია მისი ისტორიული, ან კულტურული ღირებულება, დაკავშირებული მის სიძველესთან, უნიკალურობასთან, ან ავთენტურობასთან“ (მუხლი 15,1).

იმ ნიშნებით, რომლითაც ხასიათდება „მზიური“, იგი სავსებით სამართლიანად იმსახურებს არა მხოლოდ ძეგლად აღრიცხვას, არამედ განსაკუთრებული მნიშვნელობის ეროვნულ კატეგორიასაც. აი, რას ვკითხულობთ კანონში (პროცედურასთან დაკავშირებით); „ეროვნული მნიშვნელობის უძრავ ძეგლს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად მინისტრის მიმართვის საფუძველზე, ან საკუთარი ინიციატივით წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი“ (მუხლი 18, 2).

„მზიურისათვის“ ძეგლის სტატუსის მინიჭება გულისხმობს მის გარშემო დაცვითი ზონის დადგენის აუცილებლობას. კანონის მიხედვით ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში აუცილებელია ბუნებრივი რელიეფისა და წყალსატევების შენარჩუნება, ლანდშაფტის განთავისუფლება კულტურულ ღირებულებას მოკლებული, დისონანსის შემტანი შენობა-ნაგებობებისა და ნარგავებისაგან, მცენარეული საფარის დაცვა-რეგულირება, ტყისა და მწვანე საფარის ბუნებრივი აღდგენის უზრუნველყოფა, მდელოებისა და სხვა ტერიტორიების დაცვა დამეწყვრისა და წალეკვისაგან (მუხლი 19, 3).

ჩვენს შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კანონის მუხლი, რომელიც კრძალავს დამცავ ზონებში ისეთი ობიექტების მშენებლობას, რომლებიც წარმოქმნის ძლიერ სატვირთო და სატრანსპორტო ნაკადებს, აჭუჭყიანებს ჰაერსა და წყალს: „საზოგადოებრივი სივრცის კეთილმოწყობის საშუალებები იმგვარად უნდა დაიგეგმოს, რომ ისინი ჰარმონიულად ერწყმოდნენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს. ქალაქგეგმარებითი პოლიტიკა და მართვის პრინციპები დამცავ ზონებში მიმართული უნდა იქნეს სატრანსპორტო ნაკადების მიზანდასახული და გეგმაზომიერი შემცირებისაკენ, საფეხმავლო ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ“ (მუხლი 35, პარაგრაფი 5)

ჩვენი ინიციატივა სრულ შესაბამისობაშია „საქართველოს კანონთან კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, სადაც ჩაწერილია, რომ „ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებულნი არიან:

ა) დაიცვან და მოუფრთხილდნენ კულტურულ მემკვიდრეობას;

ბ) სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სხვა სახელმწიფო ორგანოებს დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის, გამოვლენის ან კულტურული მემკვიდრეობისათვის საფრთხის შემცველი გარემოების არსებობის შესახებ“ (მუხლი 9, პუნქტები ა, ბ.).

ჩვენი მხრიდან უფლებას ვიტოვებთ, შევიტანოთ წინადადებები და რეკომენდაციები სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მართვის ორგანოებში. განსახილველ პროექტზე (პროექტებზე) მოვამზადოთ ალტერნატიული წინადადება და დავაფიქსიროთ დამოუკიდებელი აზრი.

დაუშვებლად მიგვაჩნია იმ კოლოსალური თანხის (რასაც ასახელებენ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გახარჯვა ვაკე-საბურთალოს ავტომაგისტრალის ასაშენებლად, მყარი არგუმენტაციისა და ადეკვატური გარანტიების გარეშე. მით უფრო, რომ რეალური საფრთხე შეიძლება დაემუქროს საქართველოს ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის უაღრესად მნიშვნელოვან ძეგლს — ბავშვთა ქალაქ „მზიურს“.

რეკომენდაციები და წინადადებები:

1. გამოცხადდეს „მზიური“ ბუნების უძრავ ძეგლად, რათა მის მიმართ ამოქმედდეს „საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ და მომზადდეს საფუძველი „მზიურის“ იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შესატანად, რისთვისაც:

ა) დადგინდეს „მზიურის“ ტერიტორიის წითელი ხაზები;

ბ) დადგინდეს ამ ტერიტორიის მესაკუთრე (მესაკუთრეები);

2. ჩატარდეს მდინარე ვერეს და მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდითი სამუშაოები;

ა) მდინარე ვერეს ორივე სანაპიროს გასწვრივ მოეწყოს კოლექტორები კანალიზაციისათვის და კატეგორიულად აიკრძალოს თბილისის ფარგლებში არსებული მიმდებარე ნაკვეთებიდან სამეურნეო და ფეკალური წყლების ჩადინება უშუალოდ მდინარეში;

ბ) „მზიურის“ ტერიტორია და მდინარე ვერეს ფერდობები გაიწმინდოს საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენებისაგან და დაიფაროს მწვანე საფარით.

ეს, პირველ რიგში, ეხება მაზუთის რეზერვუარებს და საშიში ტექნიკური ნივთიერებების შემცველ ნარჩენებს.

3. შეწყდეს ხეების ჭრა და ტერიტორიის დაბინძურება, დაინომროს ყოველი ხე და ჩამოიკიდოს ორენოვანი ფირნიშები ხის ჯიშის მინიშნებით.

4. „მზიურის“ ტერიტორიაზე შეწყდეს ყველა სახეობის ტრანსპორტის მოძრაობა; არსებული მოასფალტებული გზები გამოყენებული იქნას მხოლოდ ფეხმავლებისათვის და ექსტრემალურ სიტუაციებში (სახანძრო მანქანა, სასწრაფო დახმარება, პოლიცია).

5. „მზიურის“ ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ ასაშენებელ ნებისმიერ ობიექტზე (მათ შორის ვაკე-საბურთალოს სატრანსპორტო მაგისტრალზე) გამოცხადდეს ღია კონკურსი ადგილობრივი და უცხოელი არქიტექტორების მონაწილეობით.

6. დამუშავდეს და კონკურსში მონაწილე არქიტექტორებს დაურიგდეს:

ა) საპროექტო მოცემულობა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ბუნების ძეგლისათვის დადგენილი ყველა მოთხოვნა;

ბ) ტერიტორიის სიტუაციური გეგმა საზღვრებისა და კოორდინატების მითითებით;

გ) ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა „მზიურის“ წითელი ხაზების და დამცავი ზონის დატანით;

7. კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში შეყვანილ იქნან დარგის წამყვანი სპეციალისტები (არქიტექტორები, ეკოლოგები, კლიმატოლოგები, საგზაო ინჟინრები, გეოლოგები და ა.შ.) დამკვეთისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, აგრეთვე დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირები;

8. კონკურსის საბოლოო შედეგის გამოცხადებამდე მოეწყოს პროექტების საჯარო განხილვა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მონაწილეობით, რომელთაც კანონის შესაბამისად უფლება აქვთ, საკუთარი სახსრებით მოიწვიონ დამოუკიდებელი ექსპერტები და ჩაატარონ ექსპერტიზა განსახილველ პროექტებზე, ან წარმოადგინონ ალტერნატიული წინადადებები კანონის მოთხოვნის ფარგლებში.

თამაზ ნათიძე,
პროფესორი



◎ ალიან-ჩალიანი

ზოოპარკიდან გაქცეულ მტაცებლებს ისევ ეძებენ

მონადირეებმა თბილისში, მტაცებელი ცხოველის შესაძლო ადგილსამყოფელის ტერიტორიაზე ლეში დაყარეს და ვიდეოხაფანგები დაამონტაჟეს. ეს არის ტერიტორია ეთნოგრაფიული მუზეუმიდან ბაგებამდე. სწორედ ამ ადგილას მიმდინარეობს სამძებრო სამუშაოები.

ამასთან, სამუშაოები მას შემდეგ დაიწყო, რაც ინტერნეტში გავრცელდა სამი სხვადასხვა ადამიანის მიერ გადაღებული ფოტოები, სადაც მტაცებელი ცხოველია დაფიქსირებული. ამ ფოტოების ავთენტურობას მონადირეები ადასტურებენ. როგორც მონადირე გიორგი მეტრეველი აცხადებს, მონადირეებს სამმა პირმა მიაწოდა ფოტომასალა და სამივე ფოტო იყო იდენტური.

„ეს სამი ადამიანი ერთმანეთს საერთოდ არ იცნობდნენ. ასევე, დაახლოებით 15-მდე თვითმხილველი ჰყავს ამ ფაქტს. შესაბამისად, ჩვენ, როგორც მონადირეები და არა ექსპერტები ვადასტურებთ, რომ ნამდვილად კატისებრთა დიდი წარმომადგენელი იყო და ვიწყებთ მოქმედებებს. ღამე დაიყარა ლეში, დაყენდა ვიდეოხაფანგები და შესაბამისად გვექნება მონაცემები დაახლოებით სად იმყოფება ვეფხვი“, — განაცხადა მონადირემ.

ჩვენ ვესაუბრეთ „ინტერპრენიუსის“ ფოტოკორესპონდენტს, ირაკლი გედენიძეს, რომელსაც ორი ფოტოს ავთენტურობა შევამოწმებინეთ. ირაკლი გედენიძის განმარტებით, დიდი ალბათობით, ფოტოებზე გამოსახული ცხოველი გრაფიკული რედაქტორით არის ჩამონტაჟებული. „ამის თქმის საფუძველს იძლევა ის, რომ ცხოველის უკანა, მარცხენა ფეხზე, ბუჩქი უხეშად არის კლონირებული, არ არის დაცული ცხოველის პროპორციები და არ ემთხვევა განათების მიმართულება, ასევე, ხარისხი გაფუჭებულია, თითქოს ეს იყოს ვიდეოკადრიდან ამოჭრილი, დაბალი ხარისხის ფოტო. რომ არსებობდეს სხვა დუბლი კადრები, უკვე დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, არის თუ არა ეს მონტაჟი“, — განაცხადა ირაკლი გედენიძემ.

78 ცხოველის ლეში დამარხული და განადგურებულია

სურსათის ეროვნული სააგენტო სტიქიის შედეგად დახოცილი ცხოველების ლეშის განადგურებაზე ზედამხედველობას ახორციელებს.

ზოოპარკისა და ძაღლების თავშესაფრის მიმდებარე ტერიტორიებიდან ამოღებული ცხოველების ლეშის დამარხვა თბილისის მყარი ნარჩენების პოლიგონზე, ვეტერინარულ-სანიტარიული წესების სრული დაცვით ხდება. ლეში ნადგურდება ასევე სპეციალურ ინსინერატორში (წვის ღუმელი, რომელშიც მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით ხდება ცხოველთა ლეშისა და სხვა ბიოლოგიური ნარჩენების განადგურება). დღეის მდგომარეობით, სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების ზედამხედველობით დამარხული და განადგურებულია 78 ცხოველის ლეში.

სააგენტოს სპეციალისტების ზედამხედველობით ვაკის ხორცპროდუქტების საწარმოდან გატანილია და თბილისის მყარი ნარჩენების პოლიგონზე განადგურებულია 41 ტონამდე მავნებლად მიჩნეული მზა სურსათი და ნედლეული.

ამოტუმბვითი სამუშაოების დასრულების შემდეგ „ლაგუნა ვერეს“ ტერიტორიაზე არსებული ხორცპროდუქტების და ნახევარფაბრიკატების მწარმოებელი საწარმო „21 საუკუნიდან“ უვარგისი პროდუქციის ამოღება და გატანა დაიწყება. გარდა ამისა, სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა თბილისის სხვადასხვა უბნიდან, მათ შორის სტიქიის შედეგად დაზარალებული წერტილებიდან სასმელი წყლის სინჯები აიღეს. ლაბორატორიული კვლევის შედეგები ეტაპობრივად გახდება ცნობილი და მოსახლეობას ეცნობება. წყლის ნიმუშის აღება გრძელდება.

ინტერპრესი

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №238

„კოლხური კოშკის“ ბინადარნი „რაჭულ კოშკში“ და სხვა ამბები...

„სახსოვრად ჩემს ქეთინოს, უპირველეს მეგობარს და თანამებრძოლს, თანამდგომს ყველა გამარჯვების და მძიმე განსაცდელის წუთებში“... – ამგვარი წარწერები ახლავს ცნობილი მწერლის რევაზ ჯაფარიძის ყველა წიგნის ერთ ეგზემპლარს, მეუღლისადმი მიძღვნილს.

ცნობილია ისიც, რომ რომანი „მძიმე ჯვარი“ ბატონმა რევაზმა მეუღლეს – ქალბატონ ქეთევან დოლიძეს მიუძღვნა.

საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“ პროგრამაში „დროის ჩანაწერები“ ამზადებს გადაცემას რევაზ ჯაფარიძეზე და ოჯახში დაცულ რელიკვიებსაც გავეცანით. საინტერესო ფოტოარქივთან ერთად ქალბატონი ქეთოს მოგონებებიც ვნახეთ, 2010 წლით დათარიღებული... ხედვა და გახსენდება დროის დისტანციიდან: როგორ ესტუმრნენ „კოლხური კოშკის“ ბინადარნი ბატონ რეზოს „რაჭულ კოშკში“ 1971 წლის ივნისს...

და საერთოდ, რა ხდებოდა იქ, რაჭაში, ბოლთის სახლში, მწერლისეულ აგარაკზე, მისივე მშობლიურ გარემოში.

ანონსის სახით, ვაქვეყნებთ ქალბატონ ქეთევან დოლიძის მოგონებებს.

1971 წ. ივნისის ბოლო დღეები იყო, რაჭაში ვაპირებდით მთელი ზაფხულით წასვლას და ბატონ კონსტანტინეს, გამოსამშვიდობებლად ვეწვიეთ, წამოსვლა, რომ დავაპირეთ, ბატონმა კონსტანტინემ გვითხრა – მეც მოვდივარ რაჭაში, თქვენი „რაჭული კოშკი“ უნდა ვნახოვო.

რეზო გაგიჟდა სიხარულით: „კი, მაგრამ, ბატონო კონსტანტინე, შეუძლოდ რომ ბრძანდებით...

ჩვენ დაგელოდებითო...“

მე მოვეხვიე ბატონ კონსტანტინეს, გულში ჩამიკრა და გვითხრა – რევაზ, ქეთევან, სამი დღე მაცალეთ, ექიმებს დავეკითხებიო. მანამდე თქვენ გიორგი ნატროშვილს შეეხმიანეთ და პასუხსაც მალე გეტყვითო.

მეორე დღესვე დაგვირეკა, მოვდივარო.

ვღელავდით, დრო ცოტა გვქონდა საპატიო სტუმრის ღირსეულად მისაღებად.

შევეხმიანეთ რაჭის მთავრობას, ნათესავებს და 7 ივლისს წავედით, ბატონი კონსტანტინე, გიორგი ნატროშვილის მეუღლე ქ-ნ მანია, ზვიადი მეუღლით – დალი ლოლუათი, რეზო და მე. ბოლთის სახლი სავსე დაგვხვდა სტუმრებით, რაჭის მთავრობა მთლიანად, ნათესავები. ბატონ კონსტანტინეს ძალიან მოეწონა ჩვენი სახლი, აღფრთოვანებას არ ფარავდა. – კარგად ვარ, არ დავღლილვარ, მოსვენება არ მინდაო. ყველა კუთხე-კუნჭული დაათვალიერა, მოსასვენებელი ადგილი თავად ამოირჩია, გვეფერა... ასეც ვიცოდით. ყველანი მეცხრე ცაზე ვიყავით.

ჩვენი სახლის მეორე სართულზე, მისაღებ ოთახში, საუზმე გავშალე, ნამდვილი თბილისური საუზმე, რომელიც საღილს უფრო გავდა.

ჩხავერი გვქონდა, ბატონ კონსტანტინეს ძალიან უყვარდა გურული ჩხავერი. ჭიქა აიღო და გიორგი ნატროშვილს უთხრა, აბა, შენებურად დაგვლოცე გიორგიო.

ცოტა ხნის შემდეგ მიგვიწვიეს სუფრასთან, სუფრა საკმაოდ მრავალრიცხოვანი, უხვი და ლამაზი იყო.

ბატონ კონსტანტინეს და ზვიადს საგულდაგულოდ, მომზადეებული კალმახი და ელარჯიც კი მოართვეს რაჭველებმა.

თამადა რაიკომის მდივანი აკაკი გოგლიძე ბრძანდებოდა.

უკლებლივ ყველანი ვნერვიულობდით ბატონი კონსტანტინეს ჯანმრთელობის გამო.

თავად თავს კარგად გრძნობდა, ხუმრობდა: რაჭველებს, კარგი თამადობა გცოდნიათ, აქაურობაც მშვენიერია, ხვალ, სანამ წავიდოდე, მუხის ხე უნდა ჩავრგო, ადგილი შემირჩიეთო.

მეორე დღეს დალილობა დაეტყო, მოსვენებაც არ მოინდომა, თქვენთან უნდა ვიყოვო.

ზვიადმა თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა და მეორე დღეს, დღის მეორე ნახევარში – ჩვენი საპატიო სტუმარი, სხვა სტუმრებთან ერთად „ბოლთის სახლიდან“ გამოვისტუმრეთ.

მოუთმენლად ველოდით, გაგვეგო, როგორ იმგზავრეს. მაშინ ოსეთის გავლით მოკლე გზა იყო...

მალე ზვიადი შეგვეხმიანა „კოლხური კოშკიდან“, კარგად ვიმგზავრეთ ორ საათში თბილისში ვიყავით, კარგად ვართო.

ცოტა ხნის შემდეგ, გიორგი ნატროშვილმაც დაგვირეკა, ყველაფერი კარგად არის, დიდი მადლობა, თქვენ და მთლიანად რაჭასო.


რევაზ ჯაფარიძე და მისი მეუღლე ქეთევან დოლიძე

კონსტანტინე გამსახურდია რაჭაში

რეზო დამშვიდდა, სახლში დარჩენილ სტუმრებთან შებრუნდა, ყველას მადლობა გაადუხადა, ეხლა მე ვარ თამადაო და ხვანჭკარა დაისხა.

* * *

1995 წ. 17 სექტემბერი – ქ. ონში სინაგოგობის დიდი დღესასწაული გაიმართა, 100 წ. იუბილე.

დღესასწაულს უამრავი ხალხი ესწრებოდა, საქართველოდან წასული ქართველი ებრაელები, ჩვენი ქვეყნიდან და უცხოეთიდან მოწვეული სტუმრები.

სტუმრად ბრძანდებოდა ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

იმ დროს ჩვენც ონში ვიყავით, მაგრამ დღესასწაულს ვერ ვესწრებოდით რეზოს ავადმყოფობის გამო.

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მოუკითხავს, რევაზ ჯაფარიძეს ვერ ვხედავ, მისთვის სიურპრიზი მაქვსო და ბატონი ედუარდი „ბოლთის სახლში“ გვესტუმრა.

ედუარდ შევარდნაძესთან ერთად გვესტუმრნენ ბატონები: თამაზ გამყრელიძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯიკიძე, რევაზ ნოდარიშვილი, ონისა და ამბროლაურის მაშინდელი მთავრობა, ჟურნალისტები და დიდი რაოდენობით დაცვა.

– მიხაილ მიხაილოვიჩი ტამი, მეუღლით – მარია ივანოვნა. გვაცნობდნენ:

სსრკ მწერალთა კავშირის, უცხოეთთან ურთიერთობის, მთარგმნელობითი კოლეგიის მთავარი რედაქტორი.

– სერგეი მიხაილოვიჩი უჩაევი, მეუღლით – ვალენტინა პეტროვნა...

სსრკ მწერალთა კავშირის, უცხოეთთან ურთიერთობის, მთარგმნელობითი კოლეგიის, საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილების უფროსი.

(იმხანად მიხეილ ქვლივიძემ დაამთავრა „მძიმე ჯვრის“ თარგმნა. სტილისტად მუშაობდა სერგეი მიხაილოვიჩი, რომელიც რაჭაში გვესტუმრა და ერთი თვის განმავლობაში, რეზოსთან ერთად მუშაობდა თარგმანზე).

– გერმანელი მწერალი გუნტერ შტაინი, რომელმაც საქართველოზე წიგნი დაწერა: „რუსთაველის ნაკვალევზე“. გუნტერმა კარგად იცოდა რუსული ენა, იცნობდა რამდენიმე ქართველ მწერალს. აინტერესებდა საქართველო, როგორ ცხოვრობდა ქართველი ხალხი.

დავიწყეთ იმერეთიდან – ქუთაისი, ბაგრატის ტაძარი, გელათი, ნიკორწმინდა, ბარაკონი... რაჭა, თავისი კურორტებით: შოვი, უწერა... რაჭაში ვიყავით რამდენიმე ოჯახში სტუმრად. იმერეთში ვესტუმრეთ ოჯახს, რომელსაც ჩვენც არ ვიცნობდით. ოჯახის უფროსი და მთელი ოჯახი ისეთი ოვაციით შეგვხვდნენ, რომ იმ ღამეს, ამ მშვენიერ ოჯახში მოგვიწია ღამის გათევა.

მოვინახულეთ მესხეთი, ვარძია, დავესწარით „შოთაობის“ დიდ დღესასწაულს და ბოლოს, სტუმრები თბილისიდან გავისტუმრეთ მოსკოვში.

* * *

„ბოლთის სახლს“ სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ ოთარ კირალიშვილი მეუღლით, მეუღლე ციალა მესხია;

გიორგი მერკვილაძე მეუღლით;

სერგეი (სერიოჟა) ზლატვინი;

საშა ებანოიძე, მოქანდაკე ვაჟიშვილთან ერთად. „დრუჟბა ნაროდოვის“ მთავარი რედაქტორი;

ვახტანგ ბუაჩიძე, „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქციიდან;

ხშირად ჩამოდიოდა ჯუმბერ თითმერია.

ნათელა ონაშვილი, მეუღლესთან და ვაჟიშვილთან ერთად;

მურმან ლებანიძე მეუღლე ლენა ჭავჭავაძესთან ერთად;

ელგუჯა მაღრაძე, ლევან სანიკიძე მეუღლით...

ბატონი უჩა ჯაფარიძე, ოთარ ჯაფარიძე,

ლევან (ოქრო) ჯაფარიძე, ფრიდონ ხალვაში, გივი ღოღობერიძე, ნოდარ გურეშიძე და სხვები.

ჩვენი ახლო ნათესავების, უსაყვარლესი ადამიანების დახმარებით და თანადგომით ავაშენეთ „ბოლთის სახლი“. ასე ეძახდა რეზო ჩვენს სახლს.

ჩვენ ახლო ნათესავს, პატარა მეგობარს, **მარინე ყიფიანს** რეზო მარტო გვარს – ყიფიანს ეძახდა. ის ჩვენი უერთგულესი, დიდი მოამაგეა და მუდამ ჩვენს გვერდით მყოფი, ჭირის და ლხინის გამზიარებელი, რისთვისაც დიდი მადლობა მარის.

* * *

2003 წელს ქ. ონში გაიხსნა რევაზ ჯაფარიძის ძეგლი. არქიტექტორ-მოქანდაკე – **ოთარ ფარულავა.**

სამწუხაროდ, რევაზ ჯაფარიძის ძეგლი, ბატონი ოთარის ბოლო ნამუშევარია. იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

ძეგლის გახსნაზე თბილისიდან გვესტუმრნენ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, მეუღლით, ჯანსუღ ჩარკვიანი, რევაზ მიშველაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ბადრი ქუთათელაძე, ოთარ გამყრელიძე, ლევან ფრუიძე, თამილა შარექაძე, ნინო ჟღენტი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის წარმომადგენელი და სხვები. სულ 20 კაცი. სტუმრები „ბოლთის სახლში“ გვესტუმრნენ.

თამადა ბატონი **ჯანსუღ ჩარკვიანი** ბრძანდებოდა. დღის 3 საათზე ძეგლის გახსნა იყო დანიშნული.

ძეგლი გახსნა და სტუმრებს მიესალმა რაიონის გამგებელი **ვასილ მეტრეველი.**

სიტყვით გამოვიდნენ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი და რევაზ მიშველაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ოთარ გამყრელიძე, ლევან ფრუიძე, გიორგი ლობჟანიძე, პირველი საშუალო სკოლის დირექტორი და სხვები.

შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, აჩვენეს ფილმი რევაზ ჯაფარიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ბოლოს ვახშამზე, სუფრას უძღვებოდა ბატონი ვასილ მეტრეველი.

მეორე დღეს, „ბოლთის სახლიდან“, გამოვისტუმრეთ ჩვენი თბილისელი სტუმრები.

ამით დამთავრდა ჩემი ცხოვრებაც „ბოლთის სახლში“.

რეზო იქ 1995 წელს იყო უკანასკნელად, უხაროდა ბოლთაში ყოფნა, მითხრა: ქეთო, ეს სახლი ჩემი სულის ნაწილია, ისე როგორც ჩემი ყველა წიგნი, ჩემი ყოველი ნაწარმოები...

გაუფრთხილდითო...

ქეთევან დოლიძე,
2010 2/7

კონსტანტინე გამსახურდია და რევაზ ჯაფარიძე „ბოლთის სახლთან“.

„გურჯების“ ქორწილი ქართველების მაყრიონით...

„აქაური საქორწინო ჩვეულება მევრ რამეში ჰგავს ქართულს,“ – 1874 წელს ჩაუწერია ისტორიკოს დიმიტრი მაქრაძეს, როცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული ადგილები, ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე არსებული, მოუნახულებია.

ამ მხარის ანუ შავშეთის მედი ასე წარიმართა: 1547 წელს დაიპყრეს თურქებმა, 1878 წელს რუსეთმა შეიერთა, ხოლო გავა დრო და ეს მხარე ისევ ოსმალეთის სახელმწიფოში ექცევა...

1886 წელს, საოჯახო სიებით, შავშეთელები უკვე თურქებად იყვნენ ჩაწერილნი, ქართველთა უდიდესი ნაწილი მაჰმადიანებად. თუმცა, რამდენიმე სოფლის მცხოვრებთ იხსენიებენ არა, როგორც „ქართველ მაჰმადიანად“, არამედ „ქართველად“. ეს იმას ნიშნავდა, რომ ისლამი არ ჰქონდათ მიღებული...

აქ დღეს, ყველა პატარა სოფელში დიდი ისლამური სალოცავებია და დროდადრო ალაჰს ევედრება მოლა, ქვეყნიერების გადასარჩენად...

– „უეცრად ქართული მაყრული შემომესმა, – აგრძელებს დიმიტრი მაქრაძე – და მართლაც, ზენდიდელი მეგი თურმე შავშეთელი მეგის შვილზე ქორწინდებოდაო და შავშეთიდან მოაცილებდა კარგა მოზრდილი მაყრიონი“...

* * *

ამჯერად შავშეთელი, ართვინელი გურჯების ქორწილში ჩვენც დაგვპატიჟეს. ნეფე გახლდათ სერქან ალთუნი, იგივე ლუკა ოქრუაშვილი. პატარძალი – იელდა სეჩქი- ალთუნაშვილი. სიძე არაერთგზის გვეუბნება, რომ უსაზღვროდ მადლობელია სტუმრების გურჯისტანიდან... რომ შავშეთი საქართველოს ნაწილია და იმედი აქვს – ეს ნაწილი ოდესმე შეუერთდება მთელს...

თბილისიდან ჩასული მაყრიონი, რომელიც ჩვენს უკვე მეგობარს – ლუკას საპატარძლოს სახლამდე უნდა მიჰყვეს სიმღერ-სიმღერით, ფეხით მიუყვება გზას. ქართულ ხალხურ სიმღერებს მღერიან ანსამბლ „სახიობის“ წევრები: **მალხაზ ერქვანიძე, დავით აბრამიშვილი, დავით ჭარხალაშვილი, დავით შუკაკიძე...**

მაყრიონს ფეხდაფეხ მიჰყვებიან ულამაზესი ახალგაზრდები საქართველოს ტურისტული რესურსების კვლევითი ცენტრიდან: ***ანა იმედაშვილი, ანა გელაშვილი, შალვა კოღუაშვილი, მებურ გოზალიშვილი, თეო გიორგაძე, მაკო იმედაშვილი...***

მაყრიონს ასევე ახლავან საპატრიარქოს ტელევიზიიდან **ნინო ხოფერია** და **ზვიად მიქელაძე...**

და აი, საპატარძლოს სახლს მივუახლოვდით. ქალი უნდა წამოვიყვანოთ. სახლის სახურავზე თოფმომარჯვებული კაცი ზის. ცნობილი ლოგიკით, როცა ამბის მსვლელობაში თოფი გამოჩნდება, აუცილებლად უნდა გაისროლოს. მართლაც, გავიდა არცთუ ცოტა დრო და ცერემონიების, პატარძლის „გამოსყიდვის“, მოლაპარაკებების შემდგომ წითელი რიდეთი სახეჩადრჩამოფარებული, თეთრებში გამოწყობლილი პატარძალი გამოიყვანეს და თოფმაც არაერთგზის დაიჭექა. ქართველთა მაყრიონი კი მღეროდა პრეისტორიულ ქართულ მიწაზე და მათ მოსასმენად და სანახავად მთელი სოფელი გამოეფინა: ესალმებოდნენ და – კაი ხარ? – ეკითხებოდნენ თითოეულს („კაი ხარ“ – მათი კილოკავით ნიშნავს „კარგად ხარ?“, ხოლო „კარგად ვარ“ არის „კაი ვარ“).

მრავალმხრივ საინტერესოა თურქეთის გურჯების ქართული. მასში საუკუნეების მიღმა ჩამარხული ცნობიერება იკითხება და მევრი ისეთი რამ, რაც ჩვენ დიდი ხანია დავივიწყეთ... მაგრამ მათაც, უცხო სახელმწიფოში დასახლებულთ, ძალაუნებური ასიმილაციის პერიოდში მევრი დანაკარგი განიცადეს...

ჯერ კიდევ 1874 წელს წერდა ქართველი ისტორიკოსი: აქაური საქორწინო ჩვეულება მევრ რამეში ჰგავსო ქართულს. მაგალითად, წინასწარი მოლაპარაკება მშობლებს შორის, შუამავალის მეშვეობით, მზითვის პირობა და თვით მზითევი, ცერემონია, სიძე-პატარძლის სახელები ქორწილის დროს – ნეფე-დედოფალი, მაყრების სიმღერა, რომელსაც ამ სიტუაციაში ასრულებენ, მათი სიტყვები და კილო...



ეს ყველაფერი თითქოს იყო დღესაც, მაგრამ იყო სხვაც: წრეში მოქცეული ადამიანების თურქულს მიმსგავსებული ცეკვა და ფულადი საჩუქრების გადაცემის თავისებური რიტუალი: დგას კაცი მიკროფონით და აცხადებს სტუმართა გვარებს. ნეფე-პატარძლის წინაშე ახლობელ-ნათესავთა გრძელი რიგია და თითოეული ფულის კუპიურას ახალდაქორწინებულებს ტანსაცმელზე ქინძისთავით ამაგრებს. ახალგაზრდა ნეფე-პატარძალი ამით გარკვეულ უხერხულობას გრძნობს, რაც სახეზე აწერიათ... სწორედ ამის მერე იწყება ხანგრძლივი როკვა დიდ წრეში გაერთიანებული მექორწილეების...

გურჯების ამ ქორწილში რამდენიმე განსხვავებული დეტალიც იყო: ქართული მაყრიონის მიერ გადაცემული საჩუქარი – ჭედურობით დამშვენებული „ვეფხისტყაოსანი“, ლამაზი ყანწები და მექორწილეთა გამამხიარულებელი, ქართველების მიერ მოწყობილი ფეიერვერკი – შავშეთის ღამეულ ცაზე ანთებული მაშხალები... იმ ღამეს სტუმრებიც და მასპინძლებიც ფიქრობდნენ, რომ არც ისე „შორია გურჯისტანამდე“...

სურათებზე: ასეთი იყო გურჯების ქორწილი...

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი (SLRP III)
კრედიტის/სესხის № IBRD 8402-GE
პროექტის №: P148048

დავალების სახელწოდება: ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, წინასწარი პროექტის, გარემოს და სოციალური მენეჯმენტის გეგმის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება შიდასახელმწიფოებრივი გზების მონაკვეთების პროექტირება–მშენებლობის კონტრაქტებისთვის.

კონტრაქტი/ RFP №: SLRPIII/CS/QCBS-07
საიდენტიფიკაციო№: SLRPIII PP, პუნქტი №30

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტისთვის.** აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **„ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, წინასწარი პროექტის, გარემოს და სოციალური მენეჯმენტის გეგმის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება შიდასახელმწიფოებრივი გზების მონაკვეთების პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტებისთვის“.**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება საპროექტო ღონისძიებებთან მიმართებაში, კორპორატიული პროფილი.

მოკლე სიაში შეყვანის კრიტერიუმებია:

- ზოგადი გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებში;
- ანალოგიური გამოცდილება (ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთების მომზადება მშენებლობა–პროექტირების საგზაო კონტრაქტებისთვის ბოლო 5 წლის განმავლობაში – კონტრაქტები დასრულებული 2010 წელს ან მას შემდეგ).

აღნიშნული დავალება მოიცავს ექვს საგზაო მონაკვეთს საერთო სიგრძით 90 კმ საქართველოს სამ სხვადასხვა რეგიონში:

- მცხეთა–მთიანეთი;
- რაჭა–ლეჩხუმი;
- ქართლი;

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 7 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთაინდნენ სხვა ფირმებთან ერთობლივი საწარმოს ან ქვე-კონსულტანტის სახით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციისა და ღირებულების შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტის შერჩევა და დაქირავება (2011 წლის იანვრის გამოცემა).

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2015 წლის 10 ივლისის, 15:00 საათისა.**

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 37-05-08 დამ. 218
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელ.ფოსტა: info@georoad.ge
ვებ–გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)
Credit/Loan No: IBRD 8402-GE
Project No. P148048
Assignment Title: Provision of Feasibility Study, Preliminary Design, Environmental and Social Management Plan and Bidding Documents for Design-and-Build Contracts for Secondary Road Sections.

Contract/RFP No: SLRPIII/CS/QCBS-07
Reference No. SLRPIII PP, Item No.30

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Third Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"Provision of Feasibility Study, Preliminary Design, Environmental and Social Management Plan and Bidding Documents for Design-and-Build Contracts for Secondary Road Sections."**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The shortlisting criteria are:

- General experience in road infrastructure projects;
- Similar experience (i.e. preparation of Feasibility Study for Roads Design and Build Contracts during last 5 years – assignments completed in and/or after 2010).

The assignment will cover approximately six road sections with total length of 90km in three different regions of Georgia, as follows:

- Mtskheta-Mtianeti;
- Racha-Lechkhumi;
- Kartli;

Estimated duration of assignment is 7 months.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank`s *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank`s policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm`s consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (***Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association)*** to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on w on the following link:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A consultant will be selected in accordance with the "Consultant`s Qualification Selection" procedures set out in World Bank`s *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011 ("Consultant Guidelines").

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **July 10, 2015, 15:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Division of Roads Department
Of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

◎ პოეზია

ჩვენმა მწარე დრომ მათქმევინა...



სხვა საქართველო სად არი?

აფსუს, დიდგორში აბჯარასხმული
დიდი მეფე და სარდალი,
დღეს კი დიღომში თავბრუდასხმული
სხვა საქართველო სად არი?

აფხაზეთს დარჩა სიმწრით გაზრდილი,
რამდენი ბიჭის სამარი,
ცრემლად დაღვრილი, პატივაყრილი
სხვა საქართველო სად არი?

ერთ დროს სამოთხედ გადაქცეული,
ღმერთის წილხვედრი მთა-ბარი,
დღეს დამშეული და დაქცეული
სხვა საქართველო სად არი?

სიყვარულისთვის სულ გახიდული,
მოყვასი შეუსადარი,
დღეს რჯულდაცლილი, სულგაყიდული
სხვა საქართველო სად არი?

ყალყზე შემდგარი კვლავაც მენახო,
ცეცხლად აალდეს ღადარი,
მეც ძალმოსილმა ისევ შევძახო,
სხვა საქართველო სად არი?

აფსუს, დიდგორში აბჯარასხმული,
დიდი მეფე და სარდალი,
დღეს კი დიღომში თავბრუდასხმული
სხვა საქართველო სად არი?!

გაიღვიძეთ!

გაიღვიძეთ, დეგო, ძმეგო,
შიში ნუ გაქვთ ღამის.
ეს ქვეყანა, საოცნებო,
შემოგვადნა ლამის.

ხმა გაიღეთ, ერო, ბერო,
ნუკი სხედხართ ჭურში.
გააგახეს საქართველო,
ჩააფურთხეს სულში.

თუ ზოგ-ზოგი ძველებურად
მიაშურებთ სოროს,
ანთუ ისევ თქვენებურად
სულს მიჰყიდით სოროსს,

კვლავ შეგძახებთ: ხალხო, კმარა,
მოიკრიბეთ გონი,
გაიღვიძეთ, ის კი არა,
დაგვიანდა, მგონი!

* * *

ამ ქაოსში რა მოგველის, ვინ იცის,
გული მიგრძნობს,
საავკაცოდ დაბინდდა,
არა, არ მწამს სოროსელთა თბილისი,
დალესელთა საქართველო არ მინდა.

ჩალად ფასობს კაცობა და სინდისი,
გასაყიდი დარჩა მარტო მთაწმინდა,
ეს არ არის ჩემი დედა თბილისი,
მე ასეთი საქართველო არ მინდა!

* * *

ღმერთო, ჩემს ხალხს
ნუ დატოვებ უპატრონოს,
ნუ დატოვებ
უჭმელ-უსმელს, უექიმოს,
ნეტა ვინმემ
ნაცგანდასაც უპატრონოს,
ნეტა ვინმემ
ცნობილ გიუსაც „უექიმოს“.

* * *

თუ რაც კარგი გვაქვს, უკვე სხვისია,
რამ დაგვიკარგა ჭკუა-გონება?
ფურთხის კი არა, მეტის ღირსია,
ამ „ნაძრახ ყოფას“ ვინც ემონება!

* * *

მითხარ, ვინ არის შენი ძმაკაცი,
ან შენი კერპი, შენი ღმერთკაცი,
მერე მე გეტყვი, ვინ ხარ, რა კაცი,
ანდა კაცი ხარ, თუ არაკაცი!

* * *

რამ დაგაგლახა ხალხო, ქართველო,
განა ეს იყო შენი მისია?
მართალი უთქვამთ, ეს საქართველო
ლაფის კი არა, მეტის ღირსია!

„მოყვარესა მტერსა ვუფრთხი“

უბედურება ჩვენი ის არი,
მოყვარე მტერი ჩვენი ვინც არი,
ვინც არი ჩვენგან დასამიწარი,
ლამის გაგვიხდეს დასაფიცარი!

„რა ვაკეთოთ?“

ჩვენდა ჭირად ამ საქმიდან
არაფერი არ გამოვა,
პრეზიდენტი სასახლიდან
ამბობენ, რომ არ გამოვა...

* * *

თუ არ დადგა ერთად ერი,
არ გამოვა არაფერი!

არ მომანატროს

სიყვარულისთვის მუდამ მეცალა,
ეს ნიჭი დამყვა ბედად.
მაინც სამშობლოს ტრფობა მეძალა,
სხვა სიყვარულზე მეტად.
გულისტკივილი ბევრი მინახავს,
ბევრი ძირმწარეც შევსვი
და რაც სიცოცხლის ხალისს მინახავს,
სიმღერაა და ლექსი.
არც მეგობართა სითბო მკლებია,
არც ეშხი ლამაზ ქალთა,
მაგრამ იყო დრო, მომნატრებია
ჩემი მთაწმინდის კალთა.
თუ ის დრო მორჩა, რა ხდება ამ დროს,
რად ვევედრები ღმერთსა,
აღარ გამწიროს, არ მომანატროს
ქართული მზე და ზეცა.

გვახსოვდეს!

თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?
ვაჟა-ფშაველა

ფაშიზმისაგან მსოფლიოს მხსნელი,
ანუ მსოფლიოს გადამრჩენელი,
სომბოლო მშვიდობის, წინსვლისა,
გვახსოვდეს, როგორც დიდი
მმართველი,
დიდი სარდალი, დიდი ქართველი,
„თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“!

გურამ ჭავჭანიძე
07.05..15.

გულის ჯიბით სატარებელი წიგნები

მწერალ გურამ დოჩანაშვილს დავესესხები, დიდჯიბეებიან ტანსაცმელს რომ ამჯობინებს ლიტერატურაზე თავგადაკლული ფოტოგრაფი კეჟერაძე, რათა ყველა ზომის წიგნები მოათავსოს. ბატონმა **შოთა კობიაშვილმა** თავისი შესანიშნავი პროექტით გულის ჯიბით სატარებელი წიგნები შემოგვთავაზა და საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის (პრეზიდენტი **ლია ნადარეიშვილი**) ეგიდით უკვე წლებია მკითხველს ანებივრებს ქართული ლიტერატურის შედევრებით. ამჯერად წიგნის თაროს ორი ქართველი პოეტის რჩეულიც შეემატა — **მურმან ლებანიძისა** (შემდგენელი ზოია ცხადაია) და **შოთა ნიშნიანიძის** (შემდგენელი გურამ ბენაშვილი) ლექსები. ეს პაწაწკინტელა წიგნები, რომლებიც შპს „ფავორიტი სტილში“ დაიბეჭდა ქალბატონმა სოფიო ებრალიძემ და ბატონმა გიორგი წერეთელმა მხატვრულად გაფორმეს.

წიგნის მოყვარულებს თავს არ შევაწყენ და ვგონებ, ზედმეტიც იქნება ამ ორი დიდი პოეტის შემოქმედებაზე საუბარი, მაგრამ დაინტერესებულ მკითხველს კი შევახსენებ, რომ ორივე რჩეულში თავმოყრილია ყველასათვის ცნობილი და გათავისებული ლექსები, რაც თავისთავად დიდი საჩუქარია ქართველი მკითხველისთვის.

ავთანდილ ბექაური

◎ კახელები ლიონში

ჩვენს კულტურას საფრანგეთში წარმოადგენენ

ივნისის შუა რიცხვებიდან კახეთის რეგიონი საფრანგეთში გამართულ გამოფენაზე საკუთარ კულტურულ შესაძლებლობებს წარმოაჩენს.

ქალაქ ლიონში დაგეგმილ ორდღიან გამოფენას, სადაც 70 ქვეყანა იქნება წარმოდგენილი, ადგილობრივი ხელისუფლების მიწვევით კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი დაესწრება. ღონისძიება პრესტიჟულია, ის ლიონის მერის მიერ არის დაფუძნებული.

კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი მიიჩნევს, რომ გამოფენა კახური პროდუქციის პოპულარიზაციას, რეგიონში ტურისტული ნაკადის ზრდას შეუწყობს ხელს. ვაშლოვანისა და ლაგოდეხის ნაკრძალით არაერთი უცხოელი ტურისტი მოხიბლულა.

„ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი იქნება. ხუთი უწყება მიდის საქართველოდან: კულტურის სამინისტრო, ღვინის ეროვნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ტურიზმის დეპარტამენტი და კახეთის გუბერნია. სამინისტროები ღვინის, ჩურჩხელების, ფარდაგების, თიხის, თექისა და ზოგადად კახური კულტურის წარმოჩენა-პოპულარიზაციაზე იზრუნებენ. ტურიზმის დეპარტამენტი კი ბროშურებს დაარიგებს, მაქსიმალურად ვეცდებით, რომ კახური კულტურა შორს გავიტანოთ, — აღნიშნა ირაკლი შიოლაშვილმა.

კახეთის რამდენიმე ქალაქი იონის დეპარტამენტთან დამეგობრებულია, რაც ორმხრივ თანამშრომლობას გულისხმობს.

პარიზში გაიმართება ვახშამი სენატორებსა და ბიზნესასოციაციებთან, სადაც კახეთის რეგიონის ეკონომიკური პოტენციალი და ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები განიხილება.

ნანა ჟიჟინაძე

იცით თუ არა, რომ...

● როცა 1933 წელს გიორგი წერეთელი ლენინგრადიდან თბილისში დაბრუნდა, მისმა მასწავლებელმა, რუსეთში არაბისტიკის ფუძემდებელმა იგნატი კრაჩკოვსკიმ გულდაწყვეტით თქვა: არაბისტიკის ცენტრმა ლენინგრადიდან თბილისში გადაინაცვლაო.

● წმინდა შუშანიკი მოწამებრივ გზას დაადგა, მაგრამ ძაძების ზემოდან სიცოცხლის ბოლომდე ანტიოქიის პალეკარტი (სადედოფლო მანტია) ემოსა.

● ნიკოლოზ შენგელაია რუსთაველის პროსპექტზე ხეზე ასული თავის ფუტურისტულ ლექსებს კითხულობდა, როდესაც კოტე მარჯანიშვილმა შეამჩნია და თავისთან კინოში სამუშაოდ წაიყვანა.

● 1993 წლის 27 სექტემბერს, როდესაც რუსეთის მხარდაჭერით აფხაზეთის სეპარატისტულმა ძალებმა სოხუმი აიღეს, ჟიული შარტავამ ქალაქი არ დატოვა. იმავე დღეს ის წამებით მოკლეს.

● 1960 წელს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ექსპედიციისას ბერძენ არქიმანდრიტს, რომელიც სამ ქართველ მეცნიერს — აკაკი შანიძეს, ირაკლი აბაშიძესა და გიორგი წერეთელს რუსთაველის ფრესკის მოძიებისას ხელს უშლიდა, აკაკი შანიძემ „არქიბანდიტი“ შეარქვა.

● 1974 წელს მიხეილ შავიშვილის თაოსნობით საქართველოში ჩამოყალიბდა ბავშვთა პირველი ფოლკლორული ანსამბლი „კრიმანჭული“.

● დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალებაზე აკაკი წერეთელმა თქვა: „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს!“

წყარო: „tatatatuli.wordpress.com“

◎ ბაქო – 2015

ევროპული თამაშები

ჭიდაობა

„თავისუფლების“ დღეები ბაქოში

ორი „ვერცხლი“ და სამი „ბრინჯაო“ – ასეთი შედეგით დაასრულეს ასპარეზობა პირველ ევროპულ თამაშებზე ჩვენმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ოლიმპიური ჩემპიონის რევაზ მინდორაშვილის ხელმძღვანელობით. როგორც გაუწყეთ, კვარცხლბეკზე ჯერ ელიზბარ ოდიკაძე (97 კგ, მეორე ადგილი) და ჯუმბერ ყველაშვილი (74, მესამე ადგილი) ავიდნენ, შემდეგ მათს მაგალითს ბექა ლომთაძემ (61), ალექსანდრე ამინაშვილმა (86) და გენო პეტრიაშვილმა (125) მიბაძეს. განსაკუთრებით საქართველოს ორგზის ჩემპიონმა ალექსანდრე ამინაშვილმა (86 კგ) იყოჩაღა. პირველივე ორთაბრძოლისას რუმინელმა სტეფან გეორგიტამ მას თავი ჩაარტყა, რის შედეგადაც ქართველმა ფალავანმა ბევრი სისხლი დაკარგა, თავზე 4 ნაკერიც დაადეს და მთელი ტურნირი გადაბინტულმა იჭიდავა. რუმინელის (8:0) შემდეგ უკრაინელი დმიტრო როშნიაკი (8:1) და სომხეთის სახელით მოჭიდავე დაღესტნელი მუსა მურთაზალიევი (4:1) დაამარცხა. ნახევარფინალი მოლდოველ პიოტრ იანულოვთან დათმო (3:4), მესამე ადგილისთვის პაექრობაში კი უნგრელ იშტვან ვერებს (3:2) აჯობა.



ქართველ ფალავანთაგან მეორე ვერცხლის მედალი ბექა ლომთაძემ მოიპოვა: ჯერ უკრაინელი ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ვასილი შუპტარი დაამარცხა (12:1), მერე რუმინელი ივან გუიდეა (10:8) და ბულგარელი მსოფლიოს ჩემპიონი რადოსლავ ველიკოვი (10:0) ჩამოიშორა გზიდან. რუს ალექსანდრ ბოგომაევთან პაექრობისას არბიტრებს მეტი ობიექტურობა რომ გამოეჩინათ, იქნებ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ასულიყო, მაგრამ ბექა ჩრდილოელ მეზობელთან საბოლოოდ 8:13 დამარცხდა და მეორე ადგილს დასჯერდა.

მესამე ადგილზე გავიდა მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილი: ქართველმა ფალავანმა მაკედონიელ ბობან დანოვსა (11:0) და უკრაინელ ევროპის პრიზიორ ოლექსანდრ ხოციანოვსკის (10:0) სძლია, ნახევარფინალი ბელარუს მსოფლიოს ჩემპიონ ალექსეი შემაროვთან წააგო, „ბრინჯაოსთვის“ პაექრობაში კი სომხეთის სახელით მოასპარეზე ლევან ბერიანიძე (5:0) დაჯაბნა.

წყალბურთი

მე-17 ადგილს დასჯერდა

ქართველ წყალმბურთელთაგან ევროპულ თამაშებში მხოლოდ 17 წლის თამარ სიჭინავამ იასპარეზა. შეჯიბრებაში სულ 24 მონაწილე ჩაება მედლებისთვის ბრძოლაში. მაღალი შედეგის მაძიებლები მხოლოდ 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომებს ირჩევდნენ, დანარჩენები – შერევით. ქართველმა სპორტსმენმა 10-მეტრიანიდან სამი, 7-იანიდან კი ხუთი ნახტომი შეასრულა და საბოლოდ 320 ქულით მე-17 ადგილზე აღმოჩნდა. საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებულმა იულია ტიმოშინინამ (რუსეთი) რვავე ნახტომი 10-მეტრიანიდან შეასრულა და 420,90 ქულა მოაგროვა.

კრივი

თითო მოგება და მარცხი

ბაქოს რინგზე უკვე რვა ქართველმა მოსინჯა ძალები. მათგან ოთხმა მოიგო და ამდენივე შეჯიბრებას გამოეთიშა. ექვსი ჩვენებურის გამოსვლაზე უკვე გაუწყეთ. რაც შეეხება დანარჩენ ორს, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, მძიმეწონოსანმა ((91) მიხეილ ბახტიძემ სტარტზე უკრაინელ ვლადისლავ სირენკოს აჯობა, თანაც ისე, რომ მესამე რაუნდის მიწურულს უკრაინელს ექიმის დახმარება დასჭირდა. ქართველი მოკრივე მომდევნო წრეში გავიდა, სადაც აზერბაიჯანელ მაჰმად მეჯიდოვს დაუპირისპირდება.

75 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბადრი ხარძიანი (75 კგ) ბელარუს ვიტალი ბანდარენკასთან დამარცხდა და მაყურებლებში გადაინაცვლა.

ლექსო ციინცაძე

◎ ფეხბურთი

კოპა ამერიკის C ჯგუფში ოთხხელისუფლებიანობაა

2015 წლის კოპა ამერიკის გათამაშებაზე მეორე ტური პერუსა და ვენესუელის დაპირისპირებით დასრულდა. რიკარდო გარეკას შეგირდებმა მოწინააღმდეგე ანგარიშით 1:0 დაამარცხეს და მეოთხედფინალში გასვლის იმედი დაიტოვეს.

მატჩის პირველ ნახევარში „ფულემის“ მცველი ფერნანდო ამორებიეტა მსაჯმა გააძევა და ვენესუელა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი პერუელთა კაპიტანმა, „ბაიერნის“ ვეტერანმა თავდამსხმელმა კლაუდიო პიზარომ 72-ე წუთზე გაიტანა. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად პაოლო გერერო დაასახელეს.

აღნიშნული გამარჯვებით პერუს C ჯგუფში 3 ქულა აქვს, ისევე როგორც ბრაზილიას, ვენესუელას და კოლუმბიას. მეოთხედფინალისტების ვინაობა აღნიშნული ჯგუფიდან ბოლო ტურში გაირკვევა. კოლუმბია პერუს დაუპირისპირდება, ხოლო ბრაზილია დისკვალიფიცირებული ნეიმარის გარეშე ვენესუელასთან გაარკვევს ურთიერთობას.

© AFP/Getty Images

გიორგი შოთაძე

◎ ჭადრაკი

მსოფლიოს ჩემპიონი ერთპიროვნული აუგსაიდერია

სენსაციით დაიწყო და ასევე გრძელდება ვაჟ მოჭადრაკეთა შორის მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი, რომელსაც ნორვეგიის ქალაქი სტავანგერი მასპინძლობს. იმას, რაც ნორვეგიაში ხდება, ჭადრაკის მოყვარულები და სპეციალისტებიც კი ძნელად გაიხსენებენ. მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ მაგნუს კარლსენს სამი ტურის შემდეგ მხოლოდ ნახევარი ქულა აქვს და ასპარეზობის 10 მონაწილეს შორის ბოლო მე-10 ადგილი უკავია. ტოპალოვთან და კარუანასთან წაგების მერე კარლსენმა მესამე ტურში ვერც გირის დამარცხება მოახერხა, მაგრამ წინა პარტიებისაგან განსხვავებით არ წაუგია და ყაიმი გააკეთა.

მეოთხე ტურში კარლსენის მეტოქე ანანდი იქნება, რომელიც დაუმარცხებლად ასპარეზობს, სამი ტურის შემდეგ სამი ყაიმით 1.5 ქულა აქვს და მეოთხე-მეექვსე ადგილებს ინაწილებს.

ტურნირზე ორხელისუფლებიანობაა. ასპარეზობას 2.5-2.5 ქულით ტოპალოვი და ნაკამურა ლიდერობენ. ამ უკანასკნელმა მესამე ტურში თეთრებით კარუანას მოუგო, ხოლო ტოპალოვმა შავებით ვაშიე-ლაგრავი დამარცხა.

კობა კობახიძე

◎ ცხენოსნობა

ორჯერვე მეორე იყო

ქართველი მხედარი დიმიტრი ჩიტრეკაშვილი, რომელიც კარგა ხანია ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება, იქვე ვარჯიშობს და იქაურ შეჯიბრებებშიც აქტიურად მონაწილეობს. შარშანდელი სეზონი მისთვის წარმატებული იყო. ეტყობა, რომ წლეულსაც არ აპირებს პოზიციების დათმობას – ივნისში ორჯერ იასპარეზა ამერიკის ღია ჩემპიონატის ეტაპებზე ცხენოსნობის ოლიმპიურ სახეობა კონკურში (დაბრკოლებათა გადალახვა). წლევანდელი ორივე სტარტი იღბლიანი გამოდგა – მეორე საპრიზო ადგილები დაიკავა. დიმიტრი და მისი ბედაური ახლა ახალი სეზონის უფრო მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის ემზადებიან და, იმედია, ქომაგებს იმედებს არ გაუცრუებენ.

ლაშა დიდია

რიოს თამაშების ქულებიც

ახლა, როდესაც 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე სულ უფრო ნაკლები დრო რჩება, რიოს საგზურის მოსაპოვებლად ყოველ შეჯიბრებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ მომავალი ოლიმპიადისა და მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპის სალიცენზიო ქულები თამაშდებოდა თბილისის ლისის იპოდრომზე, სადაც ორ დღეს გრძელდებოდა მსოფლიოს თასის ეტაპი „კავკასიის ლიგა“ ცხენოსნობის ოლიმპიურ სახეობა დაბრკოლებათა გადალახვაში. ქართველებთან ერთად შეჯიბრებაში აზერბაიჯანელი მხედრებიც მონაწილეობდნენ. ასპარეზობას საერთაშორისო ფედერაციიდან მოვლინებული არბიტრები სჯიდნენ. დაძაბული პაექრობების შემდეგ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

კონკური 1. 1. დავით დუნდუა. („დონ ამბა,“ საქართველო), 2. რაჰიბ ისმაილოვი (“აკოს ფერსთ ბოი,“ აზერბაიჯანი), 3. თორნიკე პაპიაშვილი („კონდრად დე ლუქს,“ საქართველო).

კონკური 2. 1. თორნიკე პაპიაშვილი („კონდრად დე ლუქს“), 2. რაჰიბ ისმაილოვი („აკოს ფერსთ ბოი“), 3. დავით დუნდუა („დონ ამბა“).

კონკური 3. გრან პრი (მცირე პრიზი). 1. რაჰიბ ისმაილოვი („აკოს ფერსთ ბოი“), 2. ანარ ბალაჰუსეინოვი („ლორიო,“ აზერბაიჯანი), 3. დავით დუნდუა („დონ ამბა“).

კონკური 4. გრან პრი (დიდი პრიზი). 1. რაჰიბ ისმაილოვი („აკოს ფერსთ ბოი“), 2. დავით დუნდუა („დონ ამბა“), 3. რაჰიბ ისმაილოვი („კარტანიო“).

თამაზ პატარაია

◎ ინტერნეტიდან

ლული ფერნანდესის მორიგი დანაქადნები

ალბათ გახსოვთ, ადრე ვწერდით ცნობილ არგენტინელ მოდელსა და „ალბისელესტეს“ დიდ ქომაგზე ლული ფერნანდესზე, რომელმაც არგენტინის საფეხბურთო ნაკრებს სიყვარული და ერთგულება არაერთხელ დაუმტკიცა და ამის დასტურად არც მკერდის ამოყრა და ტიტლიკანობა დაუზარებია.

ამჟამად ლული, რა თქმა უნდა, თავითა და ფეხებით კოპა ამერიკის გათამაშებაზეა გადართული და დიდი იმედი აქვს, რომ ყოველთვის ძლიერი, მაგრამ მუდამ ბედოვლათი არგენტინის ნაკრები ამჯერად მაინც იპირველებს საკუთარ, სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, რაც სულაც არაა ადვილი საქმე.

ლული ფერნანდესი ტრადიციულად სიურპრიზებს ჰპირდება არგენტინის ნაკრების ფეხბურთელებსა და ქომაგებს. თუკი მარტინოს შეგირდებმა შეძლეს და კოპა ამერიკაზე იჩემპიონეს, ლული ფერნანდესი არგენტინაში დაბრუნებულ ნაკრებსა და ქომაგებს აეროპორტში დედიშობილა დახვდება და მკერდს ისე აათამაშებს, როგორც ბედიღბალი ათამაშებს ადამიანს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ბოროტი ტყუილი

რა „ჯავშანი“ აქვს ზურაბ გურიელიძეს და რატომ არ უნდა დაისაჯონ სხვა ჩინოვნიკებიც?!



საზოგადოება შოკიდან ჯერ კიდევ არ გამოსულა — ღვარცოფით მოვარდნილ საშინელებას გუშინ კიდევ ერთი მსხვერპლი დაემატა — ჩვენი თანამოქალაქე თბილისის ზოოპარკის ბინადარმა, ჩაკეტილ სივრცეში „მოყუჩებულმა“ ვეფხვმა დაგლიჯა!

აღნიშნულ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა ზოოპარკის მოქმედმა დირექტორმა ზურაბ გურიელიძემ საკუთარ თავზე აიღო. საქმე ეხება მის ოთხი დღის წინანდელ განცხადებას (რომელიც ღარიბაშვილმა და ჯანელიძემაც გაიმეორეს), რომ ზოოპარკის ბინადრები ან განეიტრალებულია, ან დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდნენ და დედაქალაქში მტაცებელი ცხოველების თავდასმის საშიშროება არ არსებობს!

ის, რომ ბატონი გურიელიძე თავისი საქმის გულშემატკივარი და პროფესიონალია (როგორც ამას ხშირად უსვამენ ხაზს), არ არის საკმარისი, იგი საკუთარ პასუხისმგებლობას გაექცეს — მიუხედავად იმისა, მან ეს განცხადება ზეწოლით გააკეთა თუ უნებლიე შეცდომა მოუვიდა...

არც ის არის ნორმალური, როცა „რუსთავი-2“-ის ეთერში სტუმრობისას შსს-ს ქვედანაყოფებს „პირს წმენდ“ და საზოგადოებას ატყუებ, რომ „შამბას“ და ზოოპარკის სხვა ბინადრების დახოცვა იძულებითი ღონისძიება იყო.

სინამდვილეში კი პირიქით ყოფილა, რასაც მისი ახლობელი, მწერალი ქეთი ტოროტაძე ურემი რომ გადაბრუნდა, მერე გვიყვება.

ქალბატონი ქეთი იმოწმებს ზურაბ გურიელიძის სიტყვებს, რომ „იმ ახვრებმა“ ცხოველებს დამიზნებით მაშინ ესროლეს, როცა ისინი დაბმული და უწყინარ მდგომარეობაში იყვნენ!..

ზოოპარკის დირექტორი ახლა თურმე წუხს იმაზე, რომ ტელეეთერიდან „მთელი საქართველო მოატყუა!“

როგორც წესი, უარყოფითი ემოციები დაცხრება და ქვეყანაც დაწყნარდება, მაგრამ აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი ლოგიკურად გაჩენილ კითხვებს:

1. რატომ „მოწმინდა პირი“ ჩინოვნიკებს ზოოპარკის დირექტორმა, თუ დარწმუნებული იყო იმაში, რომ ცხოველები „უწყინარ“

მდგომარეობაში იყვნენ და ისინი არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენდნენ მოსახლეობისთვის?!

2. რატომ იცრუა გურიელიძემ და რატომ განაცხადა, რომ ზოოპარკის ყველა ბინადარის ვინაობა გარკვეული იყო, თუ რამდენიმე მტაცებელი ცხოველის ადგილსამყოფელი დაუდგენელი ყოფილა?

3. შემთხვევით ხომ არ ჰყავდათ ზოოპარკში ე.წ. „ლევი“ ცხოველები, რომლის გადამალვა სტიქიამაც ვერ შეძლო, ან იქნებ სათვალავი აერიათ?!

4. როგორ მოხვდა ჩაკეტილ სივრცეში ზოლებიანი ვეფხვი, რომელმაც ადამიანის სიცოცხლე შეიწირა?!

სწორი არ იქნება პასუხისმგებლობა მარტო ზოოპარკის დირექტორს ავკიდოთ და მთავრობა და დედაქალაქის ხელმძღვანელობა მშრალზე გამოვიდეს. მითუმეტეს, როცა ზოოპარკის ადმინისტრაციის გარდა, არსებობს თბილისის მერიის ცხოველთა მონიტორინგის სამსახური და არსებობს მთავრობის საგანგებო შტაბი, რომელსაც თავად პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს და რომელსაც სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის აღრიცხვა და დედაქალაქის ჩვეულ კალაპოტში ჩაყენება ევალება. ამაში, ბუნებრივია, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვაც იგულისხმება!

არ მესმის გურიელიძის დაცვის მოტივით სახელმწიფო კანცელარიასთან გამართული აქციის არსი — რატომ არ შეიძლებოდა მისი დაბარება პროკურატურაში დაკითხვაზე, თუნდაც მოწმის სახით, როცა საკუთარი განცხადებით ხელი შეუწყო მოსახლეობის არასწორად ინფორმირებას, რასაც დამატებითი მსხვერპლი მოჰყვა?!

გურიელიძის პროფესიონალიზმი ან თუნდაც მისი მხრიდან ცრემლების ღვარღვარი არ უნდა იყოს ჯავშანი ზოგადად მისი პიროვნების ხელშეუხებლობისთვის. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, განტევების ვაცად მარტო ზოოპარკის დირექტორი არ უნდა იქცეს — პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა გადაინაწილონ სხვა ჩინოვნიკებმაც, ვინც ამ პროცესებში თანამდებობრივად არიან ჩართულნი.

რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ემოციური და დაუფიქრებელი ნაბიჯებით არ უნდა გავაფერმკრთალოთ ის დადებითი მუხტი, რაც გაჭირვებაში ერთად დგომამ, განსაკუთრებით ახალგაზრდების შეუპოვრობამ გვაგრძნობინა!

მითუმეტეს, პროცესები პოლიტიკურ შოუში არ უნდა გადაიზარდოს!

ანდრია ლისაშვილი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა მწუხარებას გამოთქვამს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწის მერაბ დგებუაძის დედის

ალექსანდრა (შურა) დგებუაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

რამაზ, თემურ ხუროძეები ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, გამოჩენილი მეცნიერისა და შესანიშნავი მოქალაქის, პროფესორ

ვახტანგ ყიფიანის

გარდაცვალებას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი

ჯანიკო მცხვეთაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, რედაქციის ძველ ავტორსა და მეგობარს, პროფესორ მიხეილ ჯიბუტს ძმისწულის

ივლიტა ჯიბუტის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ საჭირო წესი

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ კანონში ცვლილებები შედის

პარლამენტში განსახილველად წარდგენილი პროექტის მიხედვით, გაიმიჯნა ვაზის სამეწარმეო ჯიშები და მათი კლასიფიკაცია; შეიცვალა „მევენახეობის ზონების და ქვეზონების ჩამონათვალი“, სადაც მევენახეობის თითოეულ ისტორიულ ადგილს ეწოდა ზონა, მიუხედავად მათი ფართობისა; დადგინდა ყურძნის გადამუშავებისა და ექსპორტისას გასათვალისწინებელი სერტიფიცირების წესები და მოთხოვნები; აისახა ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ქართული ღვინის წარმოებისა და ექსპორტისას დადგენილი ძირითადი მოთხოვნები და დადგინდა შიდა ბაზარზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი პროდუქციის სერტიფიცირებისათვის საჭირო წესი.

როგორც საკითხის განხილვისას პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ლევან დავითაშვილმა განაცხადა, ვინაიდან, ქვევრში ღვინის დაყენების ქართული მეთოდი UNESCO არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში მოხვდა და, ამავდროულად, ქვევრის ღვინისა და ქართული ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინოების პოპულარობა ყოველდღიურად იზრდება, კლასიფიკაციას დაემატა „ქვევრის ღვინის“ კატეგორია. გარდა ამისა, შემოვიდა „ქარვისფერი“ ღვინის და „ცქრიალა“ ღვინის კატეგორიები.

ცვლილებით დადგინდა ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელის 4 პროდუქტი: ბრენდი, ჭაჭის არაყი, ყურძნის არაყი და მაგარი სასმელი. განიმარტა ნეიტრალური (რექტიფიცირებული) სპირტი, რომლის გამოყენებაც ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელების წარმოებისას (გარდა მაგარი სასმელისა) დაუშვებელია.

კანონპროექტით განისაზღვრა ბრენდის კატეგორიები დავარგების ასაკის მიხედვით, კერძოდ, ჩამოყალიბდეს ღვინის ბრენდის შემდეგი კატეგორიები: ახალგაზრდა ღვინის ბრენდი, დავარგებული ღვინის ბრენდი, ღვინის ბრენდი ძველი, ღვინის ბრენდი ძალიან ძველი. ვინაიდან კანონის მოქმედი რედაქცია მხოლოდ საქართველოში წარმოებული ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის ეტიკეტირების წესს ადგენდა, ცვლილებების პროექტმა გაითვალისწინა OIV-ის, ევროკავშირისა და WWTG-ის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული წესი და განსაზღვრა პროდუქციის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული ნორმები. პროექტით განისაზღვრა ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელის ეტიკეტირების წესი. ცვლილება შევიდა კანონის იმ მუხლებში, რომლითაც რეგულირდება ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელების ექსპორტთან, იმპორტთან, ადგილობრივ ბაზარზე განთავსებასთან, სერტიფიცირებასთან და ინსპექტირებასთან დაკავშირებული საკითხები.

გარდა ამისა, ცვლილებები შედის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“, რომლის მიხედვით, სამომხმარებლო ტარაში დაფასოების გარეშე სამომხმარებლო ბაზარზე ბრენდის ან დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის რეალიზაცია გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორების შემთხვევაში, დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

◎ ინფორმაცია

ეტლები გადაეცათ

როგორც ბორჯომის გამგებელმა დიმიტრი ყიფიანმა აღნიშნა ბორჯომში მცხოვრები შშმ პირები, ვინც ეტლებს საჭიროებდა, თითქმის ყველა დაკმაყოფილდა. აღნიშნული აქციის ინიციატორი საქართველოში მოქმედი ამერიკული ორგანიზაცია „ლდს — ჩერიტი“ და მისი წარმომადგენლობა საქართველოში „ედმონდ და პამელა დოშები“ იყვნენ. ორგანიზაცია სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებს საქართველოს მასშტაბით პერიოდულად მართავს. აქცია ბორჯომის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდა. ადგილობრივ ხელისუფლებსა და საქველმოქმედო ორგანიზაციას შორის შუამავალი ფირუზ ხოშაბაევი იყო. ბორჯომის მუნიციპალიტეტი ფირუზ ხოშაბაევს განსაკუთრებულ მადლობას უხდის.

◎ კარიკატურისტის თვალით

ამირან ერაძის ნახატი.

◎ სულიერება

იოანე შავთელ-გაენათელი

22 ივნისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს XII-XIII

საუკუნეებში მოღვაწე ქართველ მონაზონს, ფილოსოფოსს, პოეტს...

იოანე იყო იმ დროისთვის თვალსაჩინო პოეტი.

არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ ის მოღვაწეობდა გელათში.

„აბდულ-მესიანის“ ზოგიერთი ნუსხის მიხედვით, ეს ხოტბა შექმნილი უნდა იყოს გელათის მონასტრის კედლებში. ამავე ცნობით იოანე შავთელი გელათს შემონაზვნებული, იქვე უნდა გარდაცვლილიყო.

მემატიანის ცნობით, იგი მეფე თამარს ახლდა ბასიანის ბრძოლის დროს ომრხესა და ვარძიაში.

იოანე შავთელს შეუთხზავს აგრეთვე „გალობანი ვარძიის ღვთისმშობლისანი“.

იოანე ბერად რომ იყო შემდგარი, ამაზე პირველ ყოვლისა მიუთითებს მის თხზულებებში გამოვლენილი ღრმა საღვთისმეტყველო განათლება და ასევე წყაროებში მისი მისამართით ნახმარი გამონათქვამები: „ნეტარი“, „წმინდანი“ და სხვ.

* * *

21 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია წმინდა დიდმოწამე თეოდორე სტრატილატისა (IV საუკუნე) და მღვდელმოწამე თევდორე კველთელის (1608-1609 წ.) ხსენებას აღნიშნავს.

გიული ლიპარტია

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ**: 599 168 171; 598 51 81 35.

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

იყიდება

დედოფლისწყაროში ორსართულიანი წითელი აგურით ნაშენი, თუნუქით დახურული სახლი ეზოთი. 12 ოთახი, სველი წერტილებით, სათავსოებით, ბუხრებით, თანამედროვე რემონტით. ხეხილით გაშენებული ეზოს საერთო ფართი 9 ათასი კვ. მ. შესანიშნავი ხედით. ბუნებრივი აირი და წყალი მუდმივად. ოთახების განლაგება საშუალებას იძლევა სახლი გადაკეთდეს სასტუმროდ. ფასი შეთანხმებით.

ტელ. 223296. 599 357 697. 514 333 324.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

საავადმყოფოში დასახიჩრებული მამაკაცი მიიყვანეს.

— თქვენი გვარი? — ეკითხება ექიმი.

— ივანოვი.

— ცოლიანი ხართ?

— არა, მანქანა დამეჯახა.

* * *

— შემომიშვი რა საბანქვეშ, მცივა! — ეწუწუნება ცოლი ქმარს.

— ტრუსებიანს არ შემოგიშვებ, ეს ნუდისტების საწოლია.

— **რატომ** დადიხართ ჩვენს ფიტნეს კლუბში?

— ქმარი მაიძულებს. ნუ იტყვით და, კარგი აღნაგობის ქალთან მიყვარს სექსიო.

— მერე ამას რა სჯობს!

— თქვენ ვერ გამიგეთ. ის ამას აკეთებს კიდეც, სანამ მე აქა ვარ.

* * *

— **ვის** ელაპარაკებოდი ლამის ორი საათი?

— ძმას.

— რა ჰქვია?

— ლეონიდი მქვიაო...

სკანვორდი



რედაქცია
293-37-87;
568 82-09-84.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24